

მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ
მსაზღვრელუბიან შესიტყვებაში

მსაზღვრელისა და საზღვრულის რიგის საკითხი ქართულში საკმაოდ შესწავლილი, მაგრამ ზოგი რამ მაინც საჭიროებს გარკვევას ან დაზუსტებას.

ამჯერად საკითხი ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც ორი ან რამდენიმე არაერთგვარი პრეპოზიციური მსაზღვრელი სახელი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განმარტავს ერთ საზღვრულს. ეს მსაზღვრელები სინტაქსურად არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, ყოველი მათგანი ცალკე უკავშირდება საზღვრულს და მასთან ქმნის სინტაგმას. მაშასადამე, აქ არ შემოვა ისეთი შემთხვევები, როცა საზღვრულს დართული ორი ან მეტი მსაზღვრელი ერთგვარია (**მაღალი, გამხდარი** კაცი), ან როცა ახლად დართული ამხსნელი სიტყვა მსაზღვრელის მსაზღვრელია (**ორი კურდღლის** მადევარი).

ასეთი შესიტყვებები ჩვეულებრივ შედგენილია მართულ- ან შეთანხმებულმსაზღვრელიან საზღვრულზე კიდევ ერთი ან ორი (იშვიათად მეტი) მსაზღვრელის დამატებით:

ოქროს საათი + ლამაზი → **ლამაზი ოქროს** საათი;

ქვის სახლი + მაღალი → **მაღალი ქვის** სახლი;

იალქნიანი ნავი + პატარა → **პატარა იალქნიანი** ნავი;

სკოლის შენობა + ახალი → **სკოლის ახალი** შენობა...

შინაარსობრივად ძველი, პირველი მსაზღვრელი ძირითადია საზღვრულისათვის, ახალი, მეორე — არაძირითადი.

ეს დამატებული, მეორე მსაზღვრელი ხან ძირითადი მსაზღვრელის წინ დაისმის, ხან კი ამ შესიტყვებას გათიშავს და შუაში ჩაისმის.

მაგალითად, ორ სხვადასხვა შესიტყვებას — **ვერცხლის კოვზი** და **მტრის თვითმფრინავი** — რომ დაუერთოთ ერთი და იგივე მსაზღვრელი **ორი**, ეს **ორი** სხვადასხვა ადგილს დაიჭერს; ერთი მხრით, გვექნება

ორი ვერცხლის კოვზი (ორი პირველ ადგილზეა; არ იხმარება ვერცხლის ორი კოვზი), ხოლო, მეორე მხრით, გვექნება მტრის ორი თვით-მფრინავი (ორი აქ მეორე ადგილზეა, შეუძლებელია ორი მტრის თვით-მფრინავი). ან კიდევ, ორ, აგრეთვე სხვადასხვა, შესიტყვებასთან — ქვის შენობა და უნივერსიტეტის შენობა — ერთი და იმავე მსაზღვრელი ახალი სხვადასხვა ადგილზე დაისმის მიუხედავად იმისა, რომ იგი ორსავე შემთხვევაში ერთ საზღვრულს — შენობას — განმარტავს: თუ შენობა ქვისაა, შეთანხმებული მსაზღვრელი შესიტყვების წინ გვექნება (ახალი ქვის შენობა), ხოლო თუ შენობა უნივერსიტეტისაა, შეთანხმებული მსაზღვრელი შუაში ჩაისმის (უნივერსიტეტის ახალი შენობა; შეუძლებელია ახალი უნივერსიტეტის შენობა).

მხატვრულ ლიტერატურასა, სამეცნიერო ლიტერატურასა თუ ჟურნალ-გაზეთებში ამგვარი მსაზღვრელები ხშირად სხვადასხვაგვარადაა დალაგებული; ზოგჯერ ერთი და იმავე მწერლის ერთსა და იმავე ნაწარმოებშიც კი სხვადასხვაგვარი წყობაა წარმოდგენილი.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი :

1. [ავარაში] ახლა შაქრის დიდი ქარხანაა (ო. ჩხ.).
უამისოდ საალღებდო იქნებოდა იმხელა შაქრის ქარხნის წამოწყება (ო. ჩხ.).
2. იღება დიდი რკინის ჭიშკარი (გ. ხუხ.).
მძიმედ იღება რკინის დიდი ჭიშკარი (გ. ხუხ.).
3. მკვას ესმოდა ხის სახელდახელო კიბეზე ნელა, მძიმედ მიმავალი ქმრის ფეხის ხმა. (ო. იოს.).
[მკვამ] სახელდახელო ხის კიბეზე... ჩაირბინა (ო. იოს.).
4. შამპანურს ბროლის მადალფეხიანი ჭიქები უხდება (რ. ინან.).
ისინი სწორედ ლამაზი, მადალფეხიანი ბროლის ჭიქებით სვამენ ღვინოს (რ. ინან.).
5. აკვირ მშვიდად ვახედა ალაზნის ნოყიერ ველს (მიხ. მრევლ.).
ივანი ფართოდ გაშლილ ალაზნის ველსა და შორეულ კავკასიონს გადასცქეროდა (რ. ინან.).
6. სპილენძის ვეება და მცირე ქვაბებსა და ტაფებში უხვად იხარშება და იხრაკება ბოზბაში და ჩიხირთმა (მ. ჯავახ.).
[მაგდამ] ათუხთუხებულ სპილენძის ქვაბს სახურავი ახადა (რ. ინან.).
7. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა... პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი (ილია)!
- [მოხუცმა] სპილენძის მადალ თუნგს ჯოხი შემოკრა (ი. რურ.).
8. ოქროს სამი მედალი („თბილისი“).

1 რადგან მე-19 და მე-20 ს. სალიტერატურო ენაში მსაზღვრელთა რიგის თვალსაზრისით პრინციპული სხვაობა არ შეინიშნება, ამიტომ საილუსტრაციო მასალა მოკვავავს მე-19 ს. მხატვრული ლიტერატურიდანაც.

ეთურის განკარგულებაშია ოთხი ჯილდო: ერთი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი („ლიტ. და ხელ.“).

9. ზღვისაქენ მიდიოდნენ, თან პლასტმასის წითელი ჩანთა მიჰქონდა (რ. ინან.).

გოგონამ წნეხალიბიდან გამზადებული პლასტმასის ნაწარმი ამოიღო („თბილისი“).

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ უნდა დალაგდეს ეს მსაზღვრელები? რომელი დალაგებაა უფრო მართებული თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით: დიდი ოქროს საათი თუ ოქროს დიდი საათი? პირმოტეხილი სპილენძის თუნგი თუ სპილენძის პირმოტეხილი თუნგი? პატარა იაღქნიანი ნავი თუ იაღქნიანი პატარა ნავი? ორი ოქროს მედალი თუ ოქროს ორი მედალი? მაღალი ხის კიბე თუ ხის მაღალი კიბე?

საკითხს განსაკუთრებით მწვავეს ხდის ის ფაქტი, რომ ხშირად მსაზღვრელთა არაჯეროვანი დალაგების შედეგად შესაძლოა, სრულიად უმართებულოდ, მსაზღვრელები სემანტიკურად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და შესიტყვების აზრიც გაბუნდოვანდეს. მაგალითად: გამოთქმა **განყოფილების ახალი გამგე** ნიშნავს, რომ გამგე არის ახლად დანიშნული. მსაზღვრელი **ახალი** უკავშირდება საზღვრულს **გამგე** და მას განმარტავს. თუ მსაზღვრელთა რიგს შევცვლით (**ახალი განყოფილების გამგე**), ორი მსაზღვრელი — **ახალი** და **განყოფილების** გარეგნულად მსაზღვრელ-საზღვრულს დაემსგავსება, ახალ ჯგუფს შექმნის (**ახლის განყოფილების**) და, ცხადია, მთელი შესიტყვების აზრიც შეიცვლება: გამგე კი აღარაა ახალი, არამედ განყოფილება (**ახალი განყოფილების გამგე**).

ამის მსგავსად, სიტყვათა სხვადასხვაგვარად დალაგების შედეგად, სრულიად განსხვავებული შინაარსი ეძლევა ერთი და იმავე სიტყვებისაგან შედგენილ შესიტყვებებს:

მოსწავლის კარგი ნაწერი ნიშნავს, რომ კარგია ნაწერი, მაგრამ **კარგი მოსწავლის ნაწერი** ნიშნავს, რომ კარგია მოსწავლე. შესიტყვებაში **კოლექტივის ახალი წევრი** ახალია წევრი, ხოლო შესიტყვებაში **ახალი კოლექტივის წევრი** ახალია კოლექტივი. შესიტყვებაში **კლასის პირველი დამრიგებელი** პირველია დამრიგებელი, მაგრამ შესიტყვებაში **პირველი კლასის დამრიგებელი** პირველია კლასი. შესიტყვებაში **სოფლის ყველა სტუმარი** ყველა განსაზღვრავს სტუმარს, ხოლო შესიტყვებაში **ყველა სოფლის სტუმარი** ყველა სოფელზეა ლაპარაკი. შესიტყვებაში **მტრის განადგურებული ასეული** განადგურე-

ბულია ასეული, მეორე შესიტყვებაში კი — **განადგურებული მტრის ასეული** განადგურებულია მტერი.

ნათელია, რომ მსაზღვრელთა ადგილების უმართებულო შეცვლა აზრს აბუნდოვანებს, ორაზროვნებას იწვევს. ამ ორაზროვნების საფრთხეს გრძნობენ და ცდილობენ თავი აარიდონ მას. ამიტომ, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, ძალზე მოხშირდა მსაზღვრელთა ინვერსია და ხშირად შეთანხმებულ მსაზღვრელს მეორე ადგილზე გადასვამენ იქაც, სადაც ეს სულაც არაა აუცილებელი და ზოგჯერ მეორე უკიდურესობამდე მიდიან, — ქართულისათვის შეუძლებელ სიტყვათა წყობას ქმნიან. მაგალითად, ქართული ენისათვის უცხოა ასე დალაგებული შესიტყვება: **ღორის გადამდნარი ქონი ან ძროხის ცივი ქონი, ან კიდევ, სუფრის კარგი ღვინო** და სხვ. და მანც ხშირად ვხვდებით ისეთ შესიტყვებებს, სადაც შეთანხმებული მსაზღვრელი უმართებულოდაა გადასმული მეორე ადგილზე.

მაგალითად:

ურმებზე შეგორებული ღვინის ვეება კასრები გოლიათებით წამომსხდარიყვნენ (**მიხ. შრევლ.**).

(შდრ.: ვეება ღვინის კასრი).

ერთ დაბაში წიგნის ორი მაღაზია მაშინ ზალიან იშვიათი ამბავი იყო („**დროშა**“).

(შდრ.: ორი წიგნის მაღაზია).

ბიჭები ყველის პირმოკრულ გულებითა და ერბოს კასრებით ტვირთავდნენ მანქანებს (**მიხ. შრევლ.**).

(შდრ.: პირმოკრული ყველის გულა).

იღვა ტელეფონის მინებჩამტვრეული ჯიხური (**რ. ინან.**).

(შდრ.: მინებჩამტვრეული ტელეფონის ჯიხური).

ძროხის ცივი ქონით გაბოხილ თითებს ილაკავდნენ (**თ. შალვაჯ.**).

(შდრ.: ცივი ძროხის ქონი).

ორთქლი ასდიოდა შუშის რძისფერ ჭადებს (**ე. ყიფ.**).

(შდრ.: რძისფერი შუშის ჭადი) და სხვ.

საქმე ისაა, რომ ენაში ხშირად ერთმანეთის გვერდით გვაქვს ორი ისეთი მსაზღვრელი, რომელთა შინაარსობრივი დაკავშირება ადვილადაა შესაძლებელი, მაგრამ ასეთი დაწყვილების საფრთხე არ იქმნება, რადგან ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ამ შესიტყვებებში ისე მჭიდროდაა დაკავშირებული საზღვრულთან, რომ მათი დაცილება და ძირითადი მსაზღვრელის მეორე, ახალ მსაზღვრელთან დაკავშირება არ ხდება. ასეთია, მაგალითად შესიტყვება **მსუქანი ძროხის ბეჭი**. მსუქანი ძროხაც შეიძლება იყოს და, ამდენად, შესაძლებელი იყო ეს სიტყვები ერთმანეთს დაკავშირებოდა შინაარსის მხრივ, მაგრამ ასეთი წყვილის შექმნის და აზრის გაბუნ-

ლოვანების საშიშროება არ ჩანს; რადგან ძროხის ბეჭი მტკიცე გამო-
ნათქვამია, მისი შემადგენელი სიტყვები მჭიდროდაა ერთმანეთთან
დაკავშირებული და არ გაიყოფა. ასეთივე მაგალითებია: კარგი ქა-
ლის საათი, ლამაზი ქვის შენობა, სუსტი წნელის ღობე, დიდი მუხის
ფიცარი, შემწვარი გოჭის თავი და სხვა.

ამ მაგალითებში ერთმანეთის გვერდით დასმულ მსაზღვრელთა-
გან სავსებით შესაძლებელია შექმნა წყვილებისა — კარგი ქალი, ლა-
მაზი ქვა, სუსტი წნელი, დიდი მუხა, შემწვარი გოჭი და სხვა, მაგრამ,
ჩვეულებრივ, ეს არ ხდება.

მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, ასეთ შესიტყვებებშიც კი
შეთანხმებული მსაზღვრელის შუაში ჩასმის შემთხვევები მაინც
გვხვდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათელი უნდა იყოს, რომ დღევან-
დელ ქართულ სალიტერატურო ენაში მოგვარებას მოითხოვს სიტყ-
ვათა რიგის საკითხი ისეთ წინადადებაში, სადაც ერთ საზღვრულთან
რამდენიმე არაერთგვარი მსაზღვრელია დაკავშირებული.

აღნიშნული საკითხი დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურად-
ღებას. უპირატესად ისეთ შესიტყვებებს განიხილავდნენ, რომელშიც
ერთი მსაზღვრელი მართული იყო, მეორე — შეთანხმებული. მაგა-
ლითად, სილ. ხუნდაძემ თავის დროზე საგანგებოდ განიხილა ეს სა-
კითხი და შემდეგი წესები ჩამოაყალიბა:

1) თუ საზღვრული და ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვ-
რელი თითქმის ერთ სახელად ქცეულა (ქვის კედელი, რკინის ხიდი,
თათრის ქალი, ვაშლის ხე...), ამ შემთხვევაში მეორე მსაზღვრელი ნა-
თესაობითში დასმული მსაზღვრელის წინ დაისმის (მაღალი ქვის-კე-
დელი, ლამაზი თათრის-ქალი, დიდი ვაშლის-ხე...).

2) თუ ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი მაინც და მაინც
არ არის სასაზღვრის განუშორებელი ეპითეტი (მოსწავლის წიგნი,
კაცის სიმდიდრე, ქალის თვალები...), მაშინ მეორე მსაზღვრელი ნა-
თესაობითის შემდეგ უნდა დაისვას (მოსწავლის დიდი წიგნი, კაცის-
შესანიშნავი სიმდიდრე, ქალის ღვთაებრივი თვალები)².

აქედან ჩანს, რომ პირველი რიგის შესიტყვებები სილ. ხუნდაძეს
კომპოზიტებად მიაჩნია (აერთებს კიდევაც მათ დეფისით). ბუნებრი-
ვია, რომ შეთანხმებულ მსაზღვრელს წინ ათავსებს.

შეთანხმებული (ატრიბუტული) მსაზღვრელის ადგილის საკითხი
მართულმსაზღვრელიან შესიტყვებასთან განიხილა სპეციალურმა კო-

² სილ. ხუნდაძე, ქართული მართლწერის და სწორების ძირითადი საფუძე-
ლები, ქუთაისი, 1927, გვ. 58.

მისიამ, რომელიც 1920—21 წლებში არსებობდა და რომელსაც ევა-
ლებოდა ქართული სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოწეს-
რიგება³.

აი, რას ვკითხულობთ კომისიის დადგენილებებში:

„კომისიამ ერთხმად უპირატესობა მისცა სიტყვათა წყობის იმ
წესს, რომლის ძალითაც მსაზღვრელი სიტყვა უნდა დაისვას საზღვ-
რულის წინ, ასე:

ბავშვის ლამაზი თვალები, როცა ლამაზი ეკუთვნის თვალებს;

კომისიის ყველა წევრი, როცა ყველა ეკუთვნის წევრს;

**მსოფლიოს დანარჩენი სხეულები, როცა დანარჩენი ეკუთვნის
სხეულებს;**

ქალაქის მეორე აფთიაქი, როცა მეორე ეკუთვნის აფთიაქს;

ურმის კარგი თვალი, როცა კარგი ეკუთვნის თვალს“.

კომისიის ორ წევრს (ა. შანიძე, დ. უზნაძე) შესაძლებლად მიუჩ-
ნევია წყობა: **მეორე ქალაქის აფთიაქი, ხოლო ა. შანიძეს უმჯობესად**
ჩაუთვლია კარგი ურმის თვალი, თუნდაც კარგი ეკუთვნოდეს თვალს.

კომისიამ ასეთი წყობა დასაშვებად მიიჩნია „მხოლოდ იმ შემ-
თხვევაში, თუ ურმისთვალი დაიწერება ერთად, როგორც ერთი რთუ-
ლი სიტყვა (კომპოზიტი)“⁴.

კომისიის აზრი ნათელია — გაითიშოს მართულმსაზღვრელიან-
შესიტყვება და შიგ ჩაისვას შეთანხმებული (ატრიბუტული) მსაზღვ-
რელი.

ა. შანიძე დღემდე ამავე აზრს იცავს: ზოგჯერ მართული მსაზღვ-
რელი ისე მჭიდროდაა დაკავშირებული საზღვრულთან, რომ მათი
გათიშვა არ იქნება: **ურმის თვალი, ცხვრის მწვადები. ითქმის დიდი**
ურმის თვალი და არა ურმის დიდი თვალი, მსუქანი ცხვრის მწვადე-
ბი და არა ცხვრის მსუქანი მწვადები. ზოგი კი ასე მტკიცედ აღარაა
დაკავშირებული და შეიძლება გაითიშოს: ხილის იაფობა — ითქმის
დიდი ხილის იაფობა ან ხილის დიდი იაფობა⁵.

ამ საკითხის საგანგებოდ შესწავლის საჭიროებას მიუთითებდა
ივ. ქავთარაძე: „თუ რა ადგილზე უნდა ვიხმაროთ განსაზღვრება

³ კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: ა. შანიძე (თავმჯდომარე), კ. კეკელი-
ძე, გ. ანგლედანი, ვ. ბერიძე, ს. გორგაძე, დ. უზნაძე.

⁴ სალიტერატურო ქართულისათვის — პროექტი ქართული ორთოგრაფიის სა-
დავო საკითხების მოსაწესრიგებლად, შემუშავებული საორგანიზაციო კომისიისა და
მიღებული სასწავლო კომიტეტის მიერ (მასალები კონფერენციისათვის), ტფილისი,
1921, გვ. 38.

⁵ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, თბილისი, 1948,
გვ. 120.

მართლმსაზღვრელიან სინტაგმაში (დიდი ქალაქის მეურნეობა თუ ქალაქის დიდი მეურნეობა), ცალკე საკითხიაო⁶.

გარკვეული წესები აქვს მოცემული ლ. კვაჭაძეს თავის წიგნში „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“:

1) თუ საზღვრულის წინ გვაქვს ორი ატრიბუტული განსაზღვრება, „ნაცვალსახელითა და რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება, ჩვეულებრივ, პირველ ადგილზეა, ზედსართავით და მიმდებარებით გადმოცემული — მეორე ადგილზე“.

2) თუ საზღვრულს წინ უძღვის ერთი სუბსტანტიური და ერთი ატრიბუტული განსაზღვრება, „უშუალოდ საზღვრულის წინ ხან ატრიბუტული განსაზღვრება დგას და ხან სუბსტანტიური. ეს უკანასკნელი ზოგჯერ ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული საზღვრულთან და მათი გათიშვა არ იქნება. სხვა შემთხვევებში კი უშუალოდ საზღვრულის წინ შეიძლება იყოს ატრიბუტული განსაზღვრება“⁷.

რამდენიმე მსაზღვრელის ადგილის საკითხს ძველ ქართულში უხებიან ივ. იმნაიშვილი, ც. კალაძე, ლ. ქანთარია, ა. კიზირია...⁸

ამრიგად, შენიშნულია ფაქტი, რომ ახალ ქართულ ენაში მართლმსაზღვრელიან სინტაგმაზე პოსტპოზიციურად დართული შემთხმებული მსაზღვრელი მართული მსაზღვრელის წინ დაისმის იმ შემთხვევაში, თუ შესიტყვება მყარია, და ამ მართულ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ჩაისმის, თუ შესიტყვება არაა მყარი.

მაგრამ კითხვა ისმის: რა შემთხვევაში უნდა იქნეს მიჩნეული ესა თუ ის სინტაგმა მყარ შესიტყვებად და, მასასადამე, როდის უნდა დაისვას მეორე მსაზღვრელი ძირითადი მსაზღვრელის წინ, და, პირუკუ, რომელი შესიტყვებაა არამყარი? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ გამოვიცნოთ ის ზოგი შესიტყვება, რომლის გათიშვა არ ხერხდება, ე. ი. როგორ გავარჩიოთ, უნდა გაითიშოს თუ არა შესიტყვება;

⁶ ივ. ქავთარაძე, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მართლწერისათვის. უტრნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954, № 12, გვ. 47.

⁷ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 168, 170.

⁸ ლ. ქანთარია, მსაზღვრელის ადგილი რამდენიმე მსაზღვრელიან წინადადებაში, ასპირანტთა V სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1951, გვ. 23—24; ავრეთვე კრებული: „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბილისი, 1956, გვ. 328; ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957; ც. კალაძე, განსაზღვრება ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961; ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბილისი, 1963, გვ. 225.

მაგალითად, რომელი წყობაა სწორი: დიდი ბრინჯაოს ფიგურა თუ ბრინჯაოს დიდი ფიგურა.

ან, მეორე მხრივ, ზოგი შესიტყვება რომ ასეც იხმარება და ისეც (დიდი ხილის იაფობა || ხილის დიდი იაფობა), რომელი წყობაა უმჯობესი თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით?

ამ კითხვებზე პასუხი დღემდე არა ჩანს და, მიუხედავად ზემოაღნიშნული ცდებისა, ასეთ შესიტყვებებში მსაზღვრელის რიგის საკითხი დღევანდელ სალიტერატურო ქართულში გადაუჭრელია.

* * *

იმისათვის, რომ გავერკვეთ სიტყვათა დალაგების წესებში, უნდა განვასხვაოთ ის შესიტყვებები, რომლებშიც ყველა მსაზღვრელი შეთანხმებულია, ატრიბუტულია, იმ შესიტყვებებისაგან, რომლებშიც ერთ-ერთი მსაზღვრელი მართულია, რადგანაც ამ სხვადასხვა სახის შესიტყვებებში, როგორც დავრწმუნდებით, სიტყვათა დალაგების სხვადასხვა წესები მოქმედებს.

სიტყვათა რიგის საკითხი რამდენიმე მსაზღვრელიან შესიტყვებაში შედარებით მარტივად წყდება, როდესაც ყველა მსაზღვრელი ბრუნვაში შეთანხმებულია, ატრიბუტულია, და მეტ მერყეობას აქვს ადგილი, როდესაც ერთ-ერთი მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია დასმული, მართულია.

სავსებით სწორადაა შენიშნული სიტყვათა დალაგების ძირითადი კანონზომიერება შეთანხმებულმსაზღვრელებიან შესიტყვებაში. სახელდობრ, როდესაც შეთანხმებულ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი ზედსართავია, იგი, უპირატესად, მეორე ადგილზეა, ხოლო პირველ ადგილს იჭერს სხვა ატრიბუტული მსაზღვრელი.

მაგალითები:

I. ზედსართავთან მეორე მსაზღვრელია ნაცვალსახელი, იგი ყოველთვის პირველ ადგილზეა.

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელი:

იმ ბედნიერ ღამეს ჩემს თვალს ძილი არ მიპკარებია (ილია).

გულში ხელს იცემდა ის უბედური მამა (ილია).

ღორებს ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუჩო (ილია).

რა ღამაში იყო იმ მშვენიერ დილას ის მშვენიერი ქალი (ილია).

სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ღამაში ქალების ეშხი დაგიფარავდა (ლ. ახათ.).

ჩვენია, აბა ვისია ეს ბუმბერაზი მთები? (ა. კალანდ.).

და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე (ლ. ასათ.).

ეს უწყობდა ხელს ამ დიდებულ ი ხის უგვემო ჩეხვას („ხაქ. ბუნება“).

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

მზე იყო იმისი წმინდა სანთელი (ილია).

მისმა მაგარმა ქერტლმა სამივე აირეკლა (აკაკი).

მისი ქალური თავმოყვარობა ზეიმობდა („დროშა“).

მისი შეშლილი ხარხარი გამოძახილის გამოძახილებად მხოლოდ გვირაბით ნესტიან დერეფნებში (დ. შენგ.).

მე ვნახე შენი ლამაზი ფშავი (ა. კალანდ.).

ჩამოვფრინდები შენს ლურჯ რტოებზე, ჩამოვფრინდები, ისამანოქ (ა. კალანდ.).

რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს... (ლ. ასათ.).

ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკვლავად არ ამოსულა (ილია).

კვაკიმ... საყვარელ თავის ბასრი კლანჭები პირველად აგვინა (მ. ჭავჭ.).

[ლორებს] თავის ფაფუკი დინგით ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუჩო (ილია).

გ) განსაზღვრებითი ნაცვალსახელები:

აი, რა არის დღეს... თითოეული სამეურნეო მუშაკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა („ხაქ. ქალი“).

მრცხვენოდა ისე, როგორც ყველა სოფელ ბიჭს რცხვენია თავისი გამოხეული შარვლისა და გამოვარდნილი თითისა (ნ. დუმბ.).

იშვიათია ისეთი მხარე, სადაც მოიპოვებოდეს ხეხილის იმდენი ადგილო ბრძვირ ჯიშნი, რამდენიც საქართველოში („ხაქ. ბუნება“).

დ) კითხვითი ნაცვალსახელები:

რა საამური დრო არის, რა საამური წამია! (ვაჟა).

აუ, რა კარგი დღე არის, აუ, რამდენი ქალია! (ა. გრიშ.).

ე) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები:

იყო ერთი ღარიბი კაცი (ხალხ.).

მე ერთი უთვისტომო ბიჭი ვიყავ (ილია).

ერთი ნორჩი ნაძვის ძირას ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგვინა (ა. კალანდ.).

ღანინერვა რამდენიმე ტექნიკური სიახლე („თბილისი“).

...თითქოს ბამბაზის ნაკუწში რამდენიმე წვრილი ჩხირი გაუხვე-

ვიათო (რ. ინან.).

რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს... (ილია).

იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო-გულია დამალული (ილია).

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მსაზღვრელი ნაცვალსახელის მეორე ადგილზე დასმის შემთხვევები:

მარტო მყინვარწვერი რაღა ღირს, რა მომხიბლავია მარადთვლიანი ეს გოლიათი („კომუნისტი“).

ასევე მეორე ადგილზეა კუთვნილებითი ნაცვალსახელი შემდეგ წინადადებებში:

[ნაპრალო] ამ მზისაგან მკერდზე დანახურებ სითბოს მოპირდაპირე თავის მეზობელს უზიარებდა (ვაჟა).

უკანასკნელი მისი სიტყვა პლატონს აღარ გაუგონია (დ. კლდ.).
ეს იყო პირველი მსოფლიო ომის დროს გადადებულ მისი სურათი (გ. შატბ.).

ასეთი დალაგება ზოგჯერ სტილის საჭიროებით შეიძლება იყოს გამოწვეული, ჩვეულებრივია კი ასეთი წყობა: ეს მარადთოვლიანი გოლიათი, თავის მოპირდაპირე მეზობელს, მისი უკანასკნელი სიტყვა და ა. შ.

II. ზედსართავთან მეორე მსაზღვრელია რიცხვითი სახელი:

ერთმა წვირიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო (ანდაზა).
ორი პურაძვირი კაცი ერთმანეთის მიბაძვით შიმშილით დაიხოცნენო (ანდაზა).

ეს ორი ტურფა გვრიტი... საკვირველად ტკბილად ცხოვრობდნენ (ილია).

ვიღაცამ ორი მძიმე ჩემოდანი შემოიტანა (ო. იოს.).
ლატვიის ტერიტორიაზე იმუშავებს... 150 პიონერული ბანაკი („თბილისი“).

ის ეყოფოდა ერთ დიდ ქალაქს ასაშენებლად („საქ. ქალო“).
დამთავრდა საქართველოს მეოთხე საიუბილეო სპარტაკიადა („თბილისი“).

პირველმა ქართულმა ელმავალმა გავლის ნიშანი მისცა (გ. ხუნ.).
ორი მძიმე და აუტანელი თვე გაატარა მან იქ სიმარტოვეში (დ. შენგ.).

ყველა შემთხვევაში რიცხვითი სახელი პირველ ადგილზეა, ზედსართავი — მეორეზე.

პირველ ადგილზეა განუსაზღვრელი რიცხვითი სახელიც. მაგ.:

საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო (აკაკი).
მარაში ბევრი უდემამამო ბავშვი იყო („საქ. ქალი“).

გამოითქვა მრავალი საყურადღებო შენიშვნა („ახ. კომ.“).
აუზში ბევრი ოქროსფერი თევზი ბუღობს (შ. დად.).

III. ზედსართავთან მეორე მსაზღვრელია მიმდებარე, ზედსართავი მეორე ადგილზეა:

სამკეცად ჩამოსული ტრფიალების ამგზნები ფაფუკი და ბაბი (ილია).

ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი (ილია).

ვარდის რტოზე შეერჩენილი ხმელი თესლი აყენეს და ვაიტაცეს ბელურებმა (ა. კალანდ.).

ნაომარ ქართველ მხედრობას ტრიალ მინდორში ეჭინა (ლ. ასათ.).

[გურის] ჩხუბში ნადრძობი მარჯვენა ცერი დაუსივდა (ა. ლომ.).

ჩატარებულ მათემატიკურ ოლიმპიადებში... გამარჯვებულნი გამოდიან („ხაქ. ქალი“).

ჩემი მეგობარი ზარფუშახდილ საარყე ქვაბივით ამოაფრქვევს სათქმელს (რ. ინან.).

კორნელიმ ახედა მის უკან მდგარ თეთრხალათიან დახლიდარს (ო. იოს.).

პასკევიჩმა მათ... უკვე გაცემული საიერიშო გეგმა გაუმეორა (მ. ჯავახ.).

აი, სოფელსაც ვავციდით, ხრეშმოყრილი დიდი გზიდან ეწერში გადავდივართ (რ. ინან.).

შეთანხმებულმსაზღვრელებიან შესიტყვებაში სიტყვათა დალაგების ეს კანონზომიერება შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში. დაფუძნებით ორიოდე მცირე დაკვირვებას.

1. თუ შეთანხმებულმსაზღვრელებიან შესიტყვებაში ორივე მსაზღვრელი ზედსართავია, — ერთი ვითარებითი, მეორე კი მიმართებითი, — პირველ ადგილზე ვითარებითი ზედსართავი დგება, მეორეზე — მიმართებითი:

[ეზოს] ერთყა გარშემო ძველი ტყრუშული ღობე (ილია).

[კირილემ] ვეებერთელა დვინიანი სტაქანი წინ დაუდგა იმ ყმაწვილს (დ. კლდ.).

ლენინგრადში მიმდინარეობს დიდი საერთაშორისო ტურნირი ქადრაქში („თბილისი“).

[ახმელი] მეორე სეზონისათვის ახალ, დიდ იალქნიან ნავს იყიდდა (გ. რჩეულ.).

ახალი რესპუბლიკური რეკორდების ავტორები გახდნენ... („თბილისი“).

რით გერთო [გოგონა]? ტლანქი ყაზარმული სიმღერებით? („დროშა“).

აქედან ზღვის ნაპირამდე უზარმაზარი მტვრიანი ავტობუსები დადიოდნენ (თ. ჭილ.).

აქ ძველი იბერიული მოსახლეობა ყველაზე ნაკლებ შეიცვალა (გ. ქიქ.).

[ქელქვას] დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს („ხაქ. ბუნება“).

ასევე: მცირე საგაზეთო სტატია... შესანიშნავი ისტორიული ძეგლი... კარგი სასკოლო სახელმძღვანელო... დიდი საკოლმეურნეო ბაზარი... ახალი სპორტული მოედანი...

ამიტომ გვეჩოთირება, როცა მსაზღვრელთა სხვაგვარი რიგია შემდეგ შესიტყვებებში:

ფრანგული ახალი ფილმი.

ტყიდან ჩექმებიანი ახალგაზრდა მეტყვევე გამოვიდა (რ. ინან).

ლელამ მინებიანი მალალი კარი ზრიალით შეაღო (რ. ინან).

მან ეხლავე უნდა იცოდეს, თუ რა ბალახი გაიხარებს ვენახის ბოლოს, საწრე-
ტი მთავარი არხის ორივე მხარეს (ო. იოს.).

სკოლის ოთხსართულიანი ახალი ტიპიური შენობა გათვა-
ლისწინებულია 960 მოსწავლისათვის („კომუნისტი“).

(შდრ.: ახალგაზრდა ჩექმებიანი მეტყვევე, მთა-
ვარი საწრეტი არხი, ახალი ოთხსართულიანი ტი-
პიური შენობა, ახალი ფრანგული ფილმი...).

2. თუ ერთ-ერთ მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მიმართებითი
ზედსართავის წინ გადმოწევა შესიტყვების კონსტრუქციის შეცვლას
მოითხოვს, — საჭირო ხდება ამ ატრიბუტული მსაზღვრელის შეცვლა
მართული მსაზღვრელით⁹. მაგალითად, შესიტყვებაში ხუთი ამერიკუ-
ლი თვითმფრინავი მსაზღვრელები რომ გადავაჯგუფოთ, ვეღარ ვიტყ-
ვით ასე: ამერიკული ხუთი თვითმფრინავი, უნდა ვთქვათ: ამერიკის
ხუთი თვითმფრინავი, ასევე: ორი ბრაზილიელი დეპუტატი, შდრ.: ბრა-
ზილიის ორი დეპუტატი; მეოთხე რესპუბლიკური სპარტაკიდა, შდრ.:
რესპუბლიკის მეოთხე სპარტაკიდა; რამდენიმე ტექნიკური სიახლე,
შდრ.: ტექნიკის რამდენიმე სიახლე...

ამიტომ მსგავსი მსაზღვრელები სხვადასხვაგვარად, მაგრამ სწო-
რად ჩანს დალაგებული შემდეგ წინადადებებში:

მებრძოლებმა და პარტიზანებმა... მოსპეს სხვადასხვა ტიპის 6404 ამერიკუ-
ლი თვითმფრინავი („კომუნისტი“).

ჩამოაგდეს ისრაელის სამი თვითმფრინავი („კომუნისტი“).

სიტყვათა რიგი ორივე წინადადებაში სწორია; პირველში მსა-
ზღვრელად გვაქვს მიმართებითი ზედსართავი („ამერიკული“), იგი
მეორე ადგილზე დაისმის და მასთან რიცხვითი სახელი პირველ ად-
გილზეა. მეორე შესიტყვებაში კი მსაზღვრელად არის ნათესაობით
ბრუნვაში დასმული სახელი და მთელი შესიტყვება კუთვნილებას გა-
მოხატავს; მასთან ატრიბუტული მსაზღვრელი მეორე ადგილზე და-
ისმის (დაწვრილებით ქვემოთ).

3. თუ ორივე მსაზღვრელად მიმართებითი ზედსართავია, მეორე
ადგილზე, უპირატესად, — ურ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი
დგება:

მთაში უბირის კაცისაგან ისეთ რასმე გაიგონებთ ჩვენს სახელოვან ის-
ტორიულ მოღვაწეებზე (ვაჟა).

⁹ ზოგჯერ შესიტყვების შინაარსიც სხვაგვარ ნიუანსს იძენს.

მის მრავალრიცხოვან თემატურ ტილოებზე აღბეჭდილია ჩვე-
ნი ხალხის სახელოვანი... წარსული („პიონერი“).

ატრიბუტულმსაზღვრელებიან შესიტყვებაში შეიძლება არ გვქონ-
დეს ზედსართავი და გვქონდეს სხვა ატრიბუტული მსაზღვრელები:
მიმღეობა, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი.

გვხვდება მათი სხვადასხვაგვარი დალაგება; სახელდობრ, ასე:

ა) თუ ერთ-ერთ მსაზღვრელად არის მიმღეობა, იგი, მსგავსად
ზედსართავისა, მეორე ადგილს იჭერს, პირველზე კი რიცხვითი სახელი
ან ნაცვალსახელი დადგება (ზედსართავთან კი, როგორც ვნახეთ, მიმ-
ღეობაა პირველ ადგილზე: ჩ ა ს უ ქ ე ბ უ ლ ი ძ ვ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე -
ლ ი).

ნაცვალსახელი + მიმღეობა

ის დალოცვილი მღვდელი ხშირად მარიგებდა ხოლმე (ილია).

გადაიდგე გულიდან ეგ ორივესათვის მავნებელი სურვილი (აკაკი).
მაგ დალოცვილმა საღვინემ ერთხელ ჩემთვისაც ჩამოაჩქაფუნოსო
(ხალხ.).

დრო ყოფილა, რომ შხამს გამოვუყენებდი, შხამს ჩემის დაშხამულის
გულიდამ (ილია).

უბირს კაცს არავითარი მზამზარეულად შედგენილი აზრი არააქვს
(ვაჟა).

ზოგი... იქნებ ჰკიცხავდა კიდევ ნატოს ასეთი თავდადებული შრო-
მისათვის (მიხ. შრეულ.).

თუ მიმღეობას ახლავს თავისი ამხსნელები, მან შეიძლება პირ-
ველ ადგილზე გადმოიწიოს, ნაცვალსახელი და რიცხვითი სახელი კი
მეორე ადგილს დაიკავებს.

მაგალითად:

ჯავისაგან წელში გაწყვეტილი, უდროოდ დაბერებული მისი ცოლი
ოჯახში ჩერიასავით ტრიალებდა (დ. შენგ.).

(შდრ.: მისი დაბერებული ცოლი).

შახტიდან გავიდა ზევეგმითი სათბობით დატვირთული ოცდამეშვი-
დე ეშელონი („კომუნისტი“).

ოქროს მონეტებით სავსე შვიდი ქოთანა იყო („მნათობი“).

რიცხვითი სახელი + მიმღეობა

ორი საცოლშვილოდ აღებრებული ვაჟკაცის სიკვდილის შემდგე...
ლევანა კიკაბიძეს ამ ქვეყანასთან აღარც საქმით ჰქონდა რაიმე ურთიერთობა და
აღარც სიტყვით (ო. იოს.).

კუსპარა უსტაბაშის ბანზე ხუთი რჩეული ბიჭი ერთბაშად ამოლაგდა
(დ. შენგ.).

ბ) ატრიბუტულ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი შეიძლება იყოს რიცხვითი სახელი. როგორც ვნახეთ, ზედსართავთან და მიმღეობასთან მეზობლობისას რიცხვითი სახელი პირველ ადგილს იჭერდა, ნაცვალსახელთან კი იგი მეორე ადგილზეა.

ნაცვალსახელი + რიცხვითი სახელი

ის ორი სახელი; ჩემი ოთხი წიგნი; მისი ერთი ვაჟი; შენი ორიოდ სიტყვა...

[გაბრიელი] ისე გავიფრთხილდება, როგორც თავის ორ თვალსა (ილია). მისი მეორე ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „შავბიჭა“ („დროშა“).

გ) რაც შეეხება ნაცვალსახელს, როგორც ვნახეთ, სხვა ატრიბუტულ მსაზღვრელებთან (ზედსართავი, მიმღეობა, რიცხვითი სახელი) თანამსაზღვრელობისას იგი ყოველთვის პირველ ადგილზეა, ხოლო, თუ ორივე მსაზღვრელად ნაცვალსახელებია, ასეთი წყობა გვაქვს:

ჩვენებითი ნაცვალსახელი + კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

რატომ ჩავივარდა ეგ შენი ტიქტიკა ენა (ილია).

ფურკამეჩი მა ჩემი რძლისაა (ნ. ლომ.).

ჩვენებითი ნაცვალსახელი + განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი:

ეს რამდენიმე ბიჭი... ეს რაღაც ეშმაკური სკოლები (ილია)... ეს ერთი კაცი...

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი + კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

ერთი შენი გამოხედვა... ერთი შენი ვაციანება...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი + კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

იქ, ბარში, ყველა ჩემი ტოლები მტრებში ვეფხვივით დანაწარღობენ (აკაკი).

თავი რომ მოვეუყაროთ ყველაფერს ამას, ყველა ატრიბუტული მსაზღვრელის სხვადასხვაგვარი შესაძლო კომბინაცია ასეთ სურათს მოგვცემს:

ზედსართავი + ნაცვალსახელი — პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ეს ბუმბერაზი მთებია“).

ზედსართავი + მიმღეობა — პირველ ადგილზეა მიმღეობა („ჩატარებული მათემატიკური ოლიმპიადა“).

ზედსართავი + რიცხვითი — პირველ ადგილზეა რიცხვითი („ერთმა წვირიანმა ღორმა“).

ზედსართავი + ზედსართავი — პირველ ადგილზეა ვითარებითი ზედსართავი („ქველი ტყრუშული ღობე“).

ე. ი. ზედსართავი, ჩვეულებრივ, მეორე ადგილზეა.

ნაცვალსახელი + ზედსართავი — პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ეს ბუმბერაზი მთებია“).

ნაცვალსახელი + მიმღეობა — პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ის მოტეხილი ტოტი“).

ნაცვალსახელი + რიცხვითი სახელი — პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ჩემი ორი ძმა“).

ნაცვალსახელი + ნაცვალსახელი — პირველ ადგილზეა ჩვენებითი, მეორეზე — კუთვნილებითი („ეგ შენი ტიკტიკა ენა“).

პირველ ადგილზეა ჩვენებითი, მეორეზე — განუსაზღვრელობითი („ეს რამდენიმე ბიჭი“).

პირველ ადგილზეა განუსაზღვრელობითი, მეორეზე — კუთვნილებითი („ერთი შენი გაცინება“).

პირველ ადგილზეა განსაზღვრებითი, მეორეზე — კუთვნილებითი („ყველა ჩემი ტოლები“).

ე. ი. ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი პ ი რ ვ ე ლ ა დ გ ი ლ ზ ე ა :

რიცხვითი სახელი + ზედსართავი სახელი — პირველ ადგილზეა რიცხვითი („ერთმა წვირიანმა ღორმა“).

რიცხვითი სახელი + ნაცვალსახელი — პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ჩემი ორი ძმა“).

რიცხვითი სახელი + მიმღეობა — პირველ ადგილზეა რიცხვითი („ორი თავგატეხილი კოდლა“).

ე. ი. რ ი ც ხ ვ ი თ ს ა ხ ე ლ ს შ ე ი ძ ლ ე ბ ა უ ს წ რ ე ბ დ ე ს

მ ს ო ლ ო დ ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი .

მიმღეობა + ზედსართავი სახელი — პირველ ადგილზეა მიმღეობა („ჩატარებული მათემატიკური ოლიმპიადა“).

მიმღეობა + ნაცვალსახელი — პირველ ადგილზეა ნაცვალსახელი („ის მოტეხილი ტოტი“).

მიმღეობა + რიცხვითი სახელი — პირველ ადგილზეა რიცხვითი სახელი („ორი თავგატეხილი კოდლა“).

ე. ი. მ ი მ ღ ე ო ბ ა მ ს ო ლ ო დ ზ ე დ ს ა რ თ ა ვ თ ა ნ თ ა ნ ა მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ო ბ ი ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ა პ ი რ ვ ე ლ ა დ გ ი ლ ზ ე .

მაშასადამე, შეთანხმებულ მსაზღვრელთა შორის პირველ ადგილზე ყველაზე მტიკედ დგას ნაცვალსახელი, შემდეგ რიცხვითი სახელი, რომელსაც მხოლოდ ნაცვალსახელი შეიძლება უსწრებდეს, შემდეგ მიმღეობა (იგი პირველ ადგილს უთმობს ნაცვალსახელსა და რიცხვით სახელს), რაც შეეხება ზედსართავ სახელს, იგი, ჩვეულებრივ, მეორე ადგილზეა.

ზემონათქვამი ეხებოდა ისეთ შესიტყვეებებს, სადაც ყველა მსაზღვრელი ატრიბუტული, შეთანხმებული იყო.

სხვა წესები მოქმედებს, როდესაც რამდენიმე მსაზღვრელიან შესიტყვებაში ერთ-ერთი მსაზღვრელი მართულია.

უნდა შეენიშნოთ, რომ მართულმსაზღვრელიან შესიტყვებას მეორე, მესამე ან მეოთხე მსაზღვრელად შეიძლება დაერთოს არსებითი სახელი. ასეთ შემთხვევაში ეს არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაშია და ყოველთვის წინ დგება.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ :

სოფლის ჩაის პუნქტი (ნ. დუმბ.).

ირანის ხალიჩების ფაბრიკა („საქ. ქალი“).

დედის შავი სატინის კოფთა (ო. იოს.).

მცხეთის სეტიცხოვლის დიდი ტაძარი (ლ. ასათ.).

სახელმწიფოს ოქროს ფონდი („კომუნისტი“).

თბილისის აბრეშუმის ფაბრიკა.

ქიათურის შავი ქვის ტრესტი და სხვ.

არსებით სახელთა მსგავსად მართულ მსაზღვრელთან თანამსაზღვრელობისას თითქმის ყველა ნაცვალსახელიც (გარდა განსაზღვრებითისა) პირველ ადგილზე დგას.

ა) ჩვენებითი ნაცვალსახელი:

იმ ხორბლის მარცვალს რომ ჩააგდებდა წყალში... რაღაც რგოლები კეთდებოდა (ილია).

ბევრჯერ მინახავს ის გაქონილი ფანჯრის ქაღალდი ნემსით დაჩხვლეტილიცა (ილია).

იმ კაკლის ხის აქეთ ჩვენი სახლია (რ. ინან.).

ჯაბა... იმ ნიკელის საწოლში იწვა (ე. ყივ.).

მაკამაე ორიოდე სიტყვით ახსენა ის ქარხნის დირექტორი (ო. იოს.).
მაში, ერთი ოქროს წყარო სადა გაქვსო? (თ. რაზიკ. ზღაპ.).

ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს ვაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოს (ილია).

ისეთი ოქროს სათვალეები გაუკეთებია [ბუს], რომ სულ ცეცხლივით ელავსო (თ. რაზიკ. ზღაპ.).

ამდენი მგელთა ყმუილი უამბოდ არ ჩაივლისო (ანდაზა).

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელი:

ეს მშობლიური ქარია ჩვენი ალგეთის ველების (ლ. ასათ.).

ილია ოთახში შესულა: იქიდან გამოუტანია თავისი ოქროს კალამი (ს. შანშ.).

შენ იცი და შენმა ყმაწვილკაცობის მადლიანობამა (ილია).

გ) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი:

ლობესთან ერთი ფურცლის ხის სიახლოვეს მოჩანდა ძველი ჩალური (ილია).

ამბობენ, რუსთ ხელმწიფის-ბაღში ერთი ოქროს ოთახია (ილია).

მამაშენს ერთი ოქროს წყარო აქვს (თ. რაზიკ. ზღაპ.).

ქალმა ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ოქროს ქალაქში (თ. რაზიკ. ზღაპ.).

ღ) კითხვითი ნაცვალსახელი:

როგორი ოქროს საციქველა ხარ, რომ არ გვათხოვებო (ხალხ.).

ე) უარყოფითი ნაცვალსახელი:

[სურსულს] არავითარი სოფლის წამალი არ მიუღვა (ო. იოს.).

როგორც აღვნიშნეთ, ნაცვალსახელთაგან მეორე ადგილზე შეიქ-
ლება შეგვხვდეს განსაზღვრებითი ნაცვალსახელი:

თრუსოს ხეობა მნახელის ყველა მოლოდინს აჭარბებს („საქ.
ბუნება“).

პირველად საწარმოს ყველა უბანი უნდა შემოიაროს („თბილისი“).
ფაბრიკის ყოველი მუშა-მოსამსახურე... პასუხისმგებლობით
ეკიდება... ამოცანების შესრულებას („საქ. ქალი“).

ხარობს და მღერის ხალისით მიწის ყოველი მტკაველი („პიონერი“).
სოფლის ყველა სტუმარიც რომ თავს დაჰხვეოდა, ყველას გაუკუ-
ჰავდა [კაკალს] (ო. ჩხ.).

[მატერიალურმა წახლისებამ] კიდევ უფრო დაინტერესა წარმოების თე-
თიეული მუშაკი („საქ. ქალი“).

უღაბნოს ქედის ერთ-ერთ პლატოზე გავიდნენ („პიონერი“).
ჯანმრთელობის ამ ერთ-ერთი მოწინავე დაწესებულებ-
ის ყოველ წვერს გადაწვეტილი აქვს... („თბილისი“).

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ განსაზღვრებითი ნაცვალსახე-
ლი მეორე ადგილზეა ჩასმული ყველა იმ შემთხვევაში, როცა შესი-
ტყეების შინაარსი კუთვნილებას გამოხატავს.

ასეთი შინაარსის შემცველ შესიტყვებაში განუსაზღვრელი ნაცვალ-
სახელიც მეორე ადგილზე ისმის.

მაგალითად:

ძულქა ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ზო-
გიერთ რაიონში („საქ. ბუნება“).

თავადაზნაურთა რამდენიმე ოჯახი...

მაგრამ ამის შესახებ სპეციალურად ქვემოთ.

არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ზოგჯერ აუცილებელი
ხდება ჩვენებითი ნაცვალსახელის დასმა მეორე ადგილზე. ესეც ისეთ
შემთხვევებში, როდესაც შესიტყვების შინაარსი კუთვნილებას ვად-
მოსცემს.

მაგალითები:

შენ ველარ შოთშინა სიძის ასეთი უდარდულობა (დ. კლდ.)
სიტყვათა შინაარსის ამგვარი ცვლა (გ. შატბ.).

ამიტომ საერთო ნორმიდან გადახვევას წარმოადგენს სიტყვათა
დალაგება ქვემოთმოყვანილ წინადადებებში:

სონია... ამგვარმა ეკვირინეს ლაპარაკმა სრულად მოჰღალა
(დ. კლდ.).

ბევრჯერ მინახავს სხვაგანაც მაგისტანა ფანჯრის... სამკაული
(ილია).

ამ ცოლ-ქმარს... ეგონა, რომ, თუ მუცელი მძღარი აქვთ, ამგვარ ყმების
მოხმარების ცოდნისაგან აქვთ (ილია).

ჩვეულებრივ იქნებოდა: ეკვირინეს ამდენმა ლაპარაკმა... ფანჯრის
მაგისტანა სამკაული... ყმების მოხმარების ამგვარი ცოდნა.

ზემოგანხილულ შემთხვევებში სიტყვათა რიგის საკითხი არც თუ
ოსე მწვავედ დგას, ადვილად ხერხდება გარკვეული კანონზომიერების
დადგენა.

თურო რთულია ვითარება, როდესაც მართულმსაზღვრელიან შესი-
ტყვებას მეორე მსაზღვრელად ემატება რომელიმე ატრიბუტული მსა-
ზღვრელი — ზედსართავი, მიმღეობა ან რიცხვითი სახელი.

ასეთ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, სიტყვათა რიგი მერყე-
ვია, ხან ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელია პირველ ად-
გილზე (ამხანაგის ორი კოვზი, სოფლის ყველა მცხოვრები; ლენინის
დიდი სურათი; ქალის თეთრი ხელი), ხან კი — ატრიბუტული (ორი
ფერცხლის კოვზი, ვიწრო სოფლის ორღობე, თეთრი რიყის ქვა...).

ბუნებრივად დაისმის კითხვები: რატომ ხდება ასე? რა შემთხვე-
ვაში რომელი მსაზღვრელი უნდა დაისვას პირველ ადგილზე? შეინი-
შნება თუ არა რაიმე კანონზომიერება? რამ შექმნა ეს სირთულე ენა-
ში? რა მდგომარეობა გვქონდა ძველ ქართულში?

დავიწყეთ უკანასკნელი კითხვიდან.

ახალი ქართულისაგან განსხვავებით ძველ ქართულში მსაზღვრე-
ლი ეთანხმებოდა საზღვრულს ბრუნვაში, ბრუნვის ნიშნები სრულად
იყო წარმოდგენილი მსაზღვრელთანაც. განსხვავებული იყო მსა-
ზღვრელ-საზღვრულის წყობაც: მსაზღვრელი უპირატესად მოსდევდა
საზღვრულს. ასეა ისეთ შესიტყვეებებში, სადაც სახელთან ერთი მსა-
ზღვრელი გვაქვს.

რამდენიმე მსაზღვრელიან შესიტყვევაში შეიძლება მსაზღვრე-
ლებს სხვადასხვაგვარი პოზიცია დაეჭირათ საზღვრულის მიმართ:

ა) ან ყველა მოსდევდა საზღვრულს (ეს შემთხვევა ყველაზე ხში-
რია ძველ ქართულში).

ქოლტი დორთაჲ მძოვარი (მ 8,30).

ბ) ან ყველა წინ უძლოდა:

და ფ ა რ უ ლ ს ა კ ა ც თ ა ს ა ქ მ ე ს ა, ვითარცა ცხადსა ამხილებდა (ხანძრ. მგ 10).

გ) ან საზღვრულის ორსავე მხარეს ნაწილდებოდნენ:

და იხილნა ო რ ნ ი ა ს უ ლ ნ ი მ ი ს ნ ი (დაბ. 33,5).

მსაზღვრელთა ასეთი სხვადასხვაგვარი პოზიცია დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი მეტყველების ნაწილით იყო გადმოცემული ეს მსაზღვრელები და რა სახის მსაზღვრელები იყო შესიტყვებაში, — ყველა შეთანხმებული, თუ ერთი მათგანი მართული¹⁰.

პირველ ადგილს იჭერდნენ რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელები (ჩვენებითი, განსაზღვრებითი და განუსაზღვრელობითი);

მეორე ადგილს — ზედსართავი სახელი (როცა ყველა მსაზღვრელი ატრიბუტული იყო), ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი (როცა ერთ-ერთი მსაზღვრელი მართული იყო), მიმღეობა და კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

მართულმსაზღვრელიან შესიტყვებაში რიცხვითი სახელი და ზედსართავი სახელი ხან წინ უძლოდა საზღვრულს, ხანაც მოსდევდა.

მ ა გ ა ლ ი თ ა დ:

შ ი შ ი დ ი დ ი ბ ნ ე ლ ი ს ა დ მ ი წ ი ა მ ა ს ზ ე დ ა (დაბ. 15,12).

და ი ყ ო მ ე ყ ს უ ლ ა დ ბ ო რ ბ ა ლ ი ქ ა რ ი ს ა დ დ ი დ ი (მრკ. 4,37).

ე. ი. ზედსართავის ადგილი ძველ ქართულში შეუზღუდველი იყო. ახალ ქართულში სურათი შეიცვალა: მსაზღვრელმა სახელმა უპირატესად საზღვრულის წინ დაიმკვიდრა ადგილი. „კოსტოზიციური წყობა მთლიანად შეიცვალა პრეპოზიციურით და უკანასკნელი გაბატონდა კიდევ (მაგ.: ვრცელი ქვეყანა და არა: ქვეყანა ვრცელი)... ამას მოჰყვა შეთანხმების შესუსტება, ბოლომდონიან სახელთა შეთანხმების მოშლა საზღვრულ სახელთან (მწვანე ველმა, მწვანე ველს...)“¹¹.

¹⁰ იხ. ივ. იმნაიშვილის, ც. კალაძის, ლ. ქანთარია, ა. კიზირიას ზემოდასახელებული შრომები; აგრეთვე ვ. კახაძე, მსაზღვრელ-საზღვრულის თანმიმდევრობა ოთხთავში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, თბილისი, 1953, გვ. 371—380; აგრეთვე კრებული „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში“, I, თბილისი, 1956, გვ. 329—358. მაგალითები ამ ავტორთა შრომების მიხედვით მოვყავს.

¹¹ ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშანთა ურთიერთობები: ივე, VI, 1954, აგრეთვე კრებულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 203.

ამგვარად, ძველ ქართულში იყო: **სახლ-მან ქვისა-მან**, ახალ ქართულში არის: **ქვის სახლ-მა**.

როდესაც სახელს ერთი მსაზღვრელი ახლავს პრეპოზიციურად, ბრუნვაში შეთანხმების მაგივრობას ადვილად სწევს მსაზღვრელის ადგილი, მისი წინ დასმა, მაგრამ საკმარისია ერთ საზღვრულს რამდენიმე მსაზღვრელი დაუკავშირდეს, რომ მაშინვე დადგება მათი დალაგების, სიტყვათა რიგის საკითხი. **დანგრეული (მაღალი, პატარა...)** ქვის სახლი თუ ქვის დანგრეული სახლი; მაღალი ხის კიბე თუ ხის მაღალი კიბე...

ეს სირთულე ახალ ქართულში გაჩნდა, ძველ ქართულში იგი არ იყო, რადგანაც, ჩვეულებრივ, ასეთ მსაზღვრელს ცვლიდა საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში შეთანხმებული მსაზღვრელი, რომლის სინტაქსური კავშირი საზღვრულთან სათანადო ფორმით იყო გადმოცემული. ეს კი სავსებით საკმარისი იყო ამ სიტყვათა კავშირის ნათელსაყოფად, როგორც უნდა დაშორებოდნენ ისინი ერთმანეთს.

ახალ ქართულში მდგომარეობა გართულდა იმით, რომ საქმეში ჩაერია სრულიად სხვა ტიპის შესიტყვება, კერძოდ შესიტყვება მსაზღვრელიანი მსაზღვრულით (**ორი კურდღლის მადეგარი-ს** ტიპისა).

ძველ ქართულში ასეთ შესიტყვებაშიც მართული მსაზღვრელი მოსდევდა საზღვრულს; სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ასეთი ნიმუში: **დღეა დიდისა მის დღესასწაულისაჲ**. ასეთი შესიტყვება განსხვავდებოდა ჩვენთვის საინტერესო შესიტყვებისაგან; იბრუნებოდა მხოლოდ კიდური წევრები: **დღემან** დიდისა მის **დღესასწაულისა-მან**¹² (იქ კი იბრუნებოდა ყველა წევრი: **ყოველთა მწიგნობართა ერი-სათა**).

საშუალი საუკუნეების სამწერლობო ენაში მსაზღვრელმა თავის საზღვრულიანად წინ გადმოიწია და მივიღეთ: **დიდის დღესასწაულის დღე**.

მე-19 საუკუნიდან კი პირველი მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის -ს დაიკარგა: **დიდი დღესასწაულის დღე**¹³. ისე რომ, ძველი ქართულის ორი სხვადასხვაგვარი შესიტყვება:

სახლი ხისაჲ დიდი (სახლმან ხისამან დიდმან) და **დღეა დიდისა მის დღესასწაულისაჲ (დღემან დიდისა მის დღესასწაულისამან)** გარეგნულად სავსებით დაემსგავსა ერთმანეთს:

დიდი ხის სახლი

დიდი დღესასწაულის დღე

¹² დღესა დიდისა მის დღესასწაულისასა (იოანე, 7,37).

¹³ ივ. ქავთარაძე, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების მართლწერისათვის, უფრ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954, № 12, გვ. 41—47.

რა თქმა უნდა, ამ ორი შესიტყვების წევრთა შორის სინტაქსური ურთიერთობა სხვადასხვაგვარია. დიდი პირველ შესიტყვებაში განსაზღვრებაა სახლისა და სახელობით ბრუნვაშია, მეორე შესიტყვებაში კი — დიდი განსაზღვრებაა დღესასწაულისა და ნათესაობით ბრუნვაშია.

ბუნებრივია, ასეთი დამსგავსების შედეგად ორაზროვნების საფრთხე იქმნება, რადგან პირველ შემთხვევაშიც მსაზღვრელის ფორმა (დიდი) შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტ-მოკვეცილ სახედ და, თუკი შესაძლებელია მომდევნო მსაზღვრელთან მისი სემანტიკურად დაკავშირება, შესაძლებელი ხდება მთელი შესიტყვების აზრი სხვაგვარად იქნეს გაგებული. მაგალითად, ავიღოთ შესიტყვება დიდი ხის ტოტი. რადგან დიდი შეიძლება იყოს ხეც და ტოტიც, ეს შესიტყვება შეიძლება გავიგოთ ორგვარად: დიდი ხის ტოტი (დიდი ტოტი), დიდი ხის ტოტი (დიდი ხე).

მაგრამ გარეგნულად დამსგავსებული ამ ორი სხვადასხვაგვარი შესიტყვების წევრთა სინტაქსური ურთიერთობის სხვადასხვაგვარობა კარგად გამოჩნდება ორივე შესიტყვების ბრუნებისას. სახელდობრ, შესიტყვების წევრები იბრუნვიან სხვადასხვაგვარად იმისდა მიხედვით, თუ როგორ ჯგუფდებიან ისინი სინტაქსურად: დიდი არის განსაზღვრება მართული მსაზღვრელისა (დიდის ხის), თუ საზღვრულისა (დიდი ტოტი). თუ დიდი მართულ მსაზღვრელს განსაზღვრავს, — შეთანხმებულია მასთან და აღარ იბრუნვის (დიდი[ს] ხის ტოტი, დიდი[ს] ხის ტოტმა), ხოლო, თუ დიდი საზღვრულის (ტოტი) მსაზღვრელია და პირველ ადგილზე დგას, იბრუნვის (დიდმა ხის ტოტმა):

სახ.	დიდი	ხის ტოტი-ი	დიდი ხის ტოტი
მოთხრ.	დიდ-მა	ხის ტოტ-მა	დიდი ხის ტოტ-მა
მიც.	დიდ	ხის ტოტ-ს	დიდი ხის ტოტ-ს
მიმართ.	დიდ	ხის ტოტ-ად	დიდი ხის ტოტ-ად
ნათ.	დიდ-ი	ხის ტოტ-ის	დიდი ხის ტოტ-ის
მოქმ.	დიდ-ი	ხის ტოტ-ით	დიდი ხის ტოტ-ით
წოდ.	დიდ-ო	ხის ტოტ-ო	დიდო ხის ტოტ-ო

აქედან ჩანს, ამ ორი განსხვავებული ტიპის შესიტყვების სრული ფორმალური დამთხვევა გვაქვს სახელობითსა, ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში. სწორედ ეს ფორმები ქმნიან ორაზროვნებას:

სახ. დიდი ხის ტოტი = დიდი ხის ტოტი და დიდი ხის ტოტი
 ნათ. დიდი ხის ტოტ-ის = დიდი ხის ტოტის და დიდი ხის ტოტის
 მოქმ. დიდი ხის ტოტ-ით = დიდი ხის ტოტით და დიდი ხის ტოტით

რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, ატრიბუტული მსაზღვრელის გაფორმება ბრუნვის ნიშნებით ამ ორი ტიპის შესიტყვების გარჩევის შესაძლებლობას ქმნის:

დიდმა ხის ტოტმა უკვე აღარ ირევა მეორე შესიტყვებაში, რომელიც მოთხრობითში ასეა: **დიდი ხის ტოტმა**. ასევეა მიმართულებითა და მიცემითში, თუმც სიტყვათა რიგი აქაც ვერაა გამართული.

რომ უკეთ იქნეს გარჩეული ამ ორი სხვადასხვაგვარი შესიტყვების ფორმები, მიცემითი, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებს (ან მათ დაკარგულ ნაწილს) აღადგენენ ხოლმე.

მაგალითად: [კაცმა] ჩიბუხში დაუწყო თითით ტენა ხელისგულზე გაფშვნიტილს თამბაქოს კლერტებს (ვაჟა).

რადგანაც ბრუნვის ნიშნები განარჩევენ ამ ორ განსხვავებულ შესიტყვებას, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მათ მართებულად ხმარებას. მაგ.:

იაკუბმა თვითონ შეაყენა მიხასი ხმელ შეშის ზვინზე (რ. გვაბ.).

ხმელ მსაზღვრელია **შეშისა**, მასთან უნდა იყოს შეთანხმებული (**ხმელის**). აქ კი **ხმელ** ბრუნვის ნიშანმოკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი, **ზვინ**-თან შეთანხმებული გამოდის და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხმელია ზვინი. უნდა იყოს: **ხმელი შეშის ზვინზე**.

ასეთია ჩვენი სვალინდელ გადაცემათა პროგრამა (**ტელეგადაცემა**). ჩვენი მსაზღვრელია **გადაცემებისა**, ამიტომ უნდა იყოს: **ჩვენ... გადაცემათა ან ჩვენი სვალინდელი გადაცემების...**

ამბავი პირველ ოფლიანი მანეთის შოვნისა (მ. ჭავჭავ.).

უნდა იყოს: **პირველი ოფლიანი მანეთის**, რადგან **პირველი** განსაზღვრებაა **მანეთისა**.

მსგავსი შემთხვევები შეთანხმების აღრევისა გვხვდება ი. ჭავჭავაძის ნაწერებშიც: თავის განუშორებელ მეუღლით ურთ... ბუჩო ერთი მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილიყო... ლუარსაბი... სწუხდა ეხლანდელ დროების ჭირისა გამო და სხვ.

მაშასადამე, სიტყვათა რიგში ისტორიულად მომხდარმა ცვლილებებმა — სიტყვათა რიგის შეცვლამ და შეთანხმების მოშლამ გამოიწვია ორი განსხვავებული შესიტყვების გარეგნულად დამსგავსება, რამაც შექმნა ორაზროვნების წარმოშობის საფრთხე.

რა საშუალება მონახა ენამ ამ ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად? პირველი შთაბეჭდილება ასეთია: თუ შეთანხმებული მსაზღვრელის წინ დასმა ორაზროვნებას იწვევს, მაშინ ეს ამხსნელი

შუაში ჩაისმის (ხის დიდი ტოტი), სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზედსართაული ამხსნელი დიდი უშუალოდ წინ დაესმის მის მიერ ასახსნელ სიტყვას: თუ იგი ტოტს ხსნის, გვექნება: ხის დიდი ტოტი, ხოლო, თუ ხის მსაზღვრელია — დიდი ხის ტოტი (სწორედ ასე ესმით ეს საკითხი, როდესაც წერენ: ძროხის ცივი ქონი, წიგნის ორი მაღაზია ან ღვინის დიდი კასრი).

მაგრამ ასეთი გადასმა ყოველთვის როდი ხდება. როგორც აღვნიშნეთ, ენაში არის გარკვეული გამონათქვამები, რომლებთანაც ატრიბუტული მსაზღვრელი უყოყმანოდ წინ ისმის მიუხედავად იმისა, რომ მეზობლად მოხვედრილ მსაზღვრელთა სემანტიკური დაკავშირება პრინციპულად შესაძლებელია.

მაგალითად: კარგი ღვინის დოქი. კარგი ღვინოც შეიძლება იყოს, მაგრამ ასეთი დაწყვილების საფრთხე არ იქმნება. ასევე: მაღალი ხის კიბე (მაღალია კიბე); უზარმაზარი მუხის ფიცარი (უზარმაზარია ფიცარი); ლამაზი ქალის საათი (ლამაზია საათი); კარგი ქვის სახლი (კარგია სახლი)...

მეორე მხრივ, ზოგჯერ მსაზღვრელთა სემანტიკური დაკავშირება სულაც არაა მოსალოდნელი და მაინც ატრიბუტული მსაზღვრელი მეორე ადგილზე ჩაისმის ხოლმე.

მაგალითად: ამერიკის ორი თვითმფრინავი; რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი; მაკას გუშინდელი საქციელი; დედის შავჩარჩოიანი სურათი...

შეუძლებელია შეთანხმებულ მსაზღვრელთა წინ დასმით ასეთი წყვილები შეიქმნეს: ორი ამერიკა, გუშინდელი მაკას, მუდმივი რესპუბლიკის, შავჩარჩოიანი დედის...

მაშასადამე, სიტყვათა წყობა აქ ორაზროვნების შექმნის საშიშროებით ვეღარ აიხსნება, ე. ი. მხოლოდ სემანტიკური მხარე ყოველთვის ვერ აგვიხსნის სიტყვათა რიგის თავისებურებებს.

ცხადია, რომ რაღაც სხვა ფაქტორი ახდენს გავლენას სიტყვათა რიგზე, განსაზღვრავს სიტყვათა თანმიმდევრობას, აწესრიგებს მას.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოსალოდნელი ბუნდოვანება და ორაზროვნება ენაში მოწესრიგდა იმის მეშვეობით, რომ მოხდა გამონათქვამთა დაჯგუფება გარკვეული წესის მიხედვით.

ნათელია, რომ, ერთი მხრივ, არის შესიტყვებები, რომლებიც გარკვეულ სიმყარეს იჩენენ, არ ითიშებიან და შეთანხმებულ მსაზღვრელს წინ დაისვამენ (თუნდაც ისეთი მსაზღვრელები იყრიდნენ თავს, რომელთა შინაარსობრივად დაკავშირება შესაძლებელი იყოს).

მეორე მხრივ კი — გამონათქვამები, რომელთაც ასეთი სიმყარე არ გააჩნიათ, ითიშებიან და ატრიბუტულ, შეთანხმებულ მსაზღვრელს

შუაში ჩაირთავენ (თუნდაც ამ მსაზღვრელთა წინ დასმა ორაზროვნების საფრთხეს არ ქმნიდეს).

რა ქმნის მყარ გამონათქვამს, — ხშირად ხმარება, თუ მნიშვნელობითი მხარე? რომ ხშირად ხმარება არ არის აქ გადამწყვეტი, იქიდან ჩანს, რომ ბევრი ხშირად სახმარი შესიტყვება არაა მყარი, იყოფა და შეთანხმებულ მსაზღვრელს შუაში ჩაისვამს.

მაგალითად: **ზამთრის ღამე, მეზობლის ეზო, შემოდგომის სუსხი, საქართველოს სპარტაკიდა, კოლექტივის წევრი.**

ვაშობთ: **ზამთრის ცივი ღამე, შემოდგომის პირველი სუსხი, მეზობლის ამწვანებული ეზო, საქართველოს მეოთხე სპარტაკიდა, კოლექტივის ახალი წევრი...**

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მართულმსაზღვრელიანი შესიტყვების სიმტკიცე და გამძლეობა დაკავშირებულია თვით ამ გამონათქვამის შინაარსთან, მის მნიშვნელობითს მხარესთან, სემანტიკასთან.

შე დარებით მეტ სიმყარეს იჩენენ (ე. ი. არ გაითიშებიან და მათ შორის ატრიბუტული მსაზღვრელი არ ჩაისმის) ისეთი მართულმსაზღვრელიანი შესიტყვებები, რომლებშიც მსაზღვრელები გამოხატავენ მასალას (ნივთიერებას), დანიშნულებას ან წარმომავლობას. ხოლო ისეთი შესიტყვებები, რომლებშიც მსაზღვრელები კუთვნილებას გამოხატავენ, თითქმის ყოველთვის ითიშებიან და ატრიბუტული მსაზღვრელი შუაშია ჩასმული.

I. **მასალას ან ნივთიერებას** გადმოსცემენ მსაზღვრელები შემდეგ შესიტყვებებში:

ოქროს საათი (ბეჭედი, საყურე, სამაჯური, ძეწკვი, ქინძისთავი, მედალიონი, მანეთიანი, ფული, გვირგვინი, სკიპტრა, მედალი, ღერბი, თასი, ღილი, ჯაჭვი, მადანი, ძაფი, ჩარდახი, ასოები, ხანა, საუკუნე...);

ვერცხლის კოვზი (ბეჭედი, საყურე, თასი, ძეწკვი, მედალი, საათი, ფული, ღილი, სამარილე, სამაჯური, ბაღია...);

სპილენძის თუნგი (ქვაბი, ქაფქირი, ჭურჭელი, ფული, მონეტა, შაურნიანი, ფარი...);

რკინის ჭავჭავი (ჭიშკარი, მოაჯირი, ლიანდაგი, საწოლი, გალია, ღილები, პერანგი...);

ჯაჭვის ჩაბალახი (პერანგი...);

ალუმინის ჭურჭელი (ქაფქირი, კოვზი, ჯამი, ქვაბი, სახელური...);

თუჯის ქვაბი (მილი, ფეხები...);

თუნუქის ყუთი (ნივთი, ფურცელი...);

ბრინჯაოს ფიგურა (ქანდაკება, ბარელიეფი...);

ნიკელის ჩაიდანი (საწოლი, სახელური...);
 პლასტმასის ჩანთა (ნაწარმი, თეფში, ფინჯანი...);
 რეზინის მილი (ფურცელი, საბურავი, ფეხსაცმელი...);
 ქვის სახლი (კიბე, შენობა, კედელი, ბოძი, მოაჯირი, ქანდაკება...);
 ხის კიბე (სახლი, შენობა, კედელი, ბოძი, ყუთი, სკამი, სუფრა,
 საწოლი, ჯამი, კოვზი, ფენი...);
 თიხის ჯამი (დოქი, ჭურჭელი...);
 ფაიფურის ფინჯანი (ჯამი, თეფში, ჭურჭელი...);
 ბროლის ჭიქა (თასი, ლარნაკი, ჯამი...);
 აგურის ბუხარი (სახლი, კედელი...);
 გიშრის მძივი (საყურე, თმა...);
 ქარვის კრიალოხანი (მძივი...);
 მარგალიტის მძივი (ყელსაბამი, წვეთი...);
 ფიცრის კედელი (სკამი, იატაკი, ღობე, ყუთი...);
 წნელის ღობე (კალათი...);
 ფიჭვის (მუხის) ფიცარი...
 თხილის (შინდის...) წნელი...
 ვაზის ჭვარი...
 მატყლის წინდა...
 ჩითის კაბა (პერანგი, თავსაფარი, ფარდა...);
 სატინის კაბა (ხალათი...);
 ხავერდის ფარდა (კაბა, შარვალი, ხალათი, ქსოვილი...);
 ტილოს ხალათი (კაბა, ფარდა, ფეხსაცმელი, შარვალი...);
 ნარმის პერანგი;
 შალის კაბა (კოსტიუმი, შარვალი, პალტო...);
 აბრეშუმის პერანგი (კაბა...);
 ფარჩის კაბა...
 ტყავის (რეზინის, ტილოს) ფეხსაცმელი, ტყავის პალტო...
 ქონის (თაფლის, კარტოფილის) სანთელი...
 ისლის სახურავი;
 თოვლის ფანტელა (გუნდა...);
 ცომის გუნდა...

ასეთი გამოჩნატყვამები არ გაითიშება, მათთან ატრიბუტული მსა-
 ზღვრელი წინ ისმის, მაგალითად: დიდი ოქროს საათი, პირმოტეხილი
 სპილენძის თუნგი, პატარა ალუმინის ქვაბი, ახალი ნიკელის საწოლი,
 დიდი თოვლის გუნდა...

მხატვრული ლიტერატურიდან ამოკრებილი საილუსტრაციო მასალა:
 ყუთში აღმოჩნდა... ო რ ი ო ქ რ ო ს ბ ე ქ ე დ ი (გ. წერ.).

[უფემიამ ქალს] ერთი ოქროს თუმნიანი წინ დაუდგა (ნ. ლორთქ.).
იქვე ექიმი გადაშლილი ოქროს საათით ხელში (ვ. ლომო.).
უცხოდ ნახელავი ოქროს სამაჯური მაჯაზე გაუკეთა (რ. გვიტ.).
მაგიდაზე... იღვა თვლებით შემკული კარგა მოზრდილი ოქროს თასი

(შ. დად.).

თავს პაწია ოქროს თაჯი დაიხურა (შ. დად.).

ქიურის განკარგულებაშია ოთხი ჯილდო: ერთი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი („ლიტ. ხაქ.“).

შემომხვევოდა დილის მზე ყვეთელი ოქროს ფონებით (ვ. ლეონ.).

ვარაყიან ქალღმრთელ სხვილის ოქროს ასოებით დაბეჭდილია მანიფესტი (ილია).

ეს კადრები სახელმწიფოს ოქროს ფონდია („კომუნისტი“).

იმავე საფლავეებში იზოვნეს ბევრი ვერცხლისა და რკინის დილები თუ ბალთები (ილია).

აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებ... პირმოტეხილი სპილენძის თუნგი... (ილია).

[ექვთიმემ] ძველკოლხური სპილენძის მონეტები მაჩვენა (ვ. გამს.).

კარბიჩა... ჯიბეში ათიოდე სპილენძის ფულს აჩნაქუნებდა (მ. ჯავახ.).

ღამენათვეი მთვარე მრუში ლაქებით ისე დატვიფრულიყო, როგორც ხევსურული სპილენძის ფარი (ვ. გამს.).

იღება დიდი რკინის ჭიშკარი (გ. ხუხ.).

ცხარე ბრძოლიდან მობრუნებული გავრილბეული რკინის პერანგით (გ. აბაშ.).

[ფოლადის მანეკენს] თავზე უშველებელი ჯაჭვის ჩაბალახი ეხურა (ვ. გამს.).

ბიჭი უშველებელ თუნუქის ყუთს მოათრევდა (ვ. გამს.).

[სკამების] დახვეული თუჯის ფეხები ირმის რქებსა ჰგვანან („ციხკარი“).

ცერად ამოწეული ნიკელის ენას თითი დაპირა (ო. იოს.).

როცა დამტვრეული ფაიფურის ჭურჭლის ნაწილებს ერთმანეთზე აწებებ („პოინერი“).

[ქარმა] ბოძზე დამაგვრებელი ფაიფურის კოჭი ააგლიჯა (ო. იოს.).
ანატოლი... გემბანზე გველივით დაკლაკნილ რეზინის მილს თავისკენ მოსწევდა (ა. ლომ.).

ისინი... ლამაზი მადალფეხიანი ბროლის ჭიქებით სვამენ ღვინოს (რ. ინან.).

ძიამ კერაში ნაკვერცხალი მაშინვე გამოქეჯა და დაბალფეხიანი ხის სუფრა ჩადგა (დ. შენგ.).

მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი (ა. კალანდ.).

ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიციარი ეშოვათ და სამ-სამი ადლი მიწა (ილია).

[მარინემ] წმინდა თაფლის სანთელი ჩამოქნა (ე. ნინოშ.).

[მობუცი] ლოდზე ჩამოჯდა, დაფხრეწილი სამოგვის წულები გაიხადა (ვ. გამს.).

[ქალს] თხელი დაწინწკლული ჩითის კაბა ეცვა (რ. ინან.).

ოფლით სველი ნარმის პერანგი გულზე განივრად მოიღელა (დ. შენგ.).

თეთრი ატლასის ახალუხს ზემოთ ლაშას ლაქვარდი კაბა ემოსა (გ. აბაშ.).

ნატო... ქვაბში აჩუხჩუხებულ ბატკნის ჩიხირთმას გულმოდგინედ ურევს (მის. მრევლ.).

მთიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით გაიზარდა [ექვი] (მის. მრევლ.).

ბავშვს მშვიდად სძინავს და... ლამაზად მოფარფატე თოვლის ფანტელებს ხედავს (რ. ინან.).

ღვინახავდი... უზარმაზარ... ყინულის ლოლუას (რ. ინან.).

II. დანიშნულებას გადმოსცემენ მსაზღვრელები შემდეგ შესიტყვებებში:

ღვინის კასრი (ჭიქა, დოქი, ჭურჭელი, ქარხანა, ბოთლი...);

წყლის დოქი (სურა, ჭიქა, ჭურჭელი...);

ჩაის ჭიქა (ფაბრიკა, ყუთი...);

ნავთის კასრი (ბოთლი, ჭურჭელი...);

ასანთის (პაპიროსის...) ყუთი (ფაბრიკა, ღერი...);

პაპიროსის ქალაღი (ყუთი);

მურაბის (ყველის) ქილა...

სკოლის (სამზარეულოს, სახლის...) ავეჯი...

შაქრის ქარხანა; ხალიჩების ფაბრიკა; წიგნის მაღაზია; სუფრის ღვინო; პერანგის ღილი; კეცის მიწა; ძმრის დოქი (ბოთლი); თოხის ტარი; სპორტის (მთავრობის, პიონერთა, მეფის...) სასახლე; ხელოვნების (ისტორიის...) მუზეუმი; ტელეფონის ჯიხური; ქორწინების სახლი; ტელევიზორის (რადიოს) მაგიდა (ანტენა...); მოსწავლის ფორმა (ჩანთა, კალამი, რვეული...); სკოლის მერხი; ღამის დარაჯი (მორიგე, ტრამვაი...)...

ამ რიგის გამონათქვამებთანაც ატრიბუტული მსაზღვრელი წინდაისმის: დიდი ღვინის კასრი; გატეხილი ღვინის ჭიქა; ლამაზი პაპიროსის ყუთი; დიდი შაქრის ქარხანა...

საილუსტრაციო მასალა:

ჯუმბერმა... კარადიდან ორი თხელი ჩაის ჭიქა გამოიღო (რ. ინან.).

უშველებელმა კედლის საათმა სამჯერ დარეკა (ც. გამს.).

უამისოდ საალაბედო იქნებოდა იმხელა შაქრის ქარხნის წამოწყება (ო. ჩხ.).

იანისის ღვინის ქარხანას მოულოდნელი რევიზია დაეცა (ო. იოს.).

III. წარმომავლობას გვიჩვენებენ მსაზღვრელები შემდეგ შესიტყვებებში:

თხის (ლორის, ბატის, ძროხის, დათვის, ცხვრის, ქათმის...) **ქონი**;
ლორის (ძროხის, ქათმის, ინდაურის, ბატის, იხვის, თხის, კამეჩის, კურდღლის, დათვის, ხარის, წიწილის...) **ხორცი**;
ძროხის (კამეჩის, თხის, ცხვრის...) **რძე, ყველი**;
ხარის (ჯიხვის, დათვის, თხის, მელიას, კურდღლის...) **ტყავი**;
მელიას (კურდღლის, წავის...) **ბეწვი**;
ზღვის კენჭი (მცენარე, ღორი, ლომი...), **რიყის ქვა, მთის ქანები**;
სოფლის წამალი;
წყაროს (მდინარის, ტბის, ზღვის, გუბის, მტკვრის...) **წყალი**;
მთის წყარო (მდინარე, ნაკადული, ჰაერი, ნიავი...);
ტბის (ზღვის, მდინარის, მტკვრის...) **თევზი**;
წვიმის (სისხლის, ღვინის, ოფლის...) **წვეთი**;
ძაღლის (მგლის, ლომის...) **ლეკვი**; **კატის კნუტი, დათვის ბელი, ვეფხვის ბოკვერი, კურდღლის ბაქია, ქათმის წიწილა; ბატის** (ინდაურის) **ჭუჭი; ინდაურის** (იხვის) **ჭუჭული; ყვავის ბახალა...**

საილუსტრაციო მასალა:

აკაციების ქვეშ რამდენიმე თეთრი რიყის ქვა ევლო (რ. ინან).
 ეს მისი ტანისამოსით შემოტანილი წვიმის წყალი იყო (დ. შენგ).
 ნალექი მთის ქანების ხნოვანების განსაზღვრა გეოლოგიის მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა („ახ. კომ.“).
ბატრკაცი... თითონაც მიწვა და დიდრონი, შებოლილი, შემქვართლული ცხვრის ტყავი მიხურა ზედ (ვაჟა).
 ერთხელაც კი არ ჩამიყურყუმალეზია ოკეანის სიღრმეში და მარგალიტის კი არა, უბრალო ზღვის კიბოს დაჭერაც არ მიცდია (ო. იოს).
ახმედმა... შეიკედლა... ნახევრად გიჟი მოხუცი ბაზრის ქალი და გადაგდებული ძაღლის ლეკვი (გ. რჩეული).
 ერთმა ყვავმა არწივისაგან მძიმედ დაკოდილი ქორის ბახალა იპოვნა ერთხელ (კ. გამს.).
 ჩვენი სიყვარული წმინდა არის, როგორც ანკარა მთის წყარო (ილია).
 მოვა დრო და ისევ აღიმართებიან კედლები... საბატრკელოში გამოქონილი წყაროს წყალი ვეღარ შეარყევს ფუძეს („ბონონი“).

წარმომავლობა ივარაუდება, ოღონდ განსხვავებული ნიუანსით, ისეთ შესიტყვებებში, როგორიცაა: **ვაშლის ხე, ჩაის ბუჩქი და სხვ.** მათი შინაარსი მიგვითითებს, რომ საზღვრული (**ხე, ბუჩქი...**) არის მსაზღვრელის წყარო, მისი მომცემი, წარმომშობი. **ხე** არის ვაშლის მომცემი, **ბუჩქი** — ჩაის მომცემი, **წყარო** — უკვდავების მომნიჭებელი და სხვ. ასეთებია:

კაკლის (ვაშლის, მსხლის, ატმის, ფურცლის, ტყემლის...) **ხე**;
ჩაის (ასკილის, ვარდის, კვრინჩხის, კოწახურის...) **ბუჩქი**;

მაყელის (გოგრის, კიტრის, ლობიოს...) ბარდი;
უკვდავების წყარო; სიყვარულის წამალი და სხვ.

საილუსტრაციო მასალა:

აგონდებოდა... დიდი კოცონი ტოტებგაშლილი კაკლის ხის ქვეშ
(მის. შრეველ.).

ტროტუარის კიდეზე გაყოლებული ჩინური ყვავილის ხე მზისაგან
ვერ იფარავდა (მ. იოს.).

ბუნებრივად დაისმის საკითხი, თუ რა მიმართებაა ასეთ შესიტყვე-
ბებსა და კომპოზიტებს შორის. ესენი ხომ მყარი შესიტყვეებებია, ძა-
ლიან ხშირად ერთად რომ იხმარება: მთის ნიაფი, წყაროს წყალი, სპი-
ლენძის ჭურჭელი, ხის სახლი... სრულიად ადვილი შესაძლებელია ამ
მტკიცე გამონათქვამთა ერთ სიტყვად შერწყმა. მართლაც, ასეთ შე-
სიტყვებათაგან მიღებული ჩანს შემდეგი კომპოზიტები: რკინიგზა,
ვერცხლისწყალი, ვარდისწყალი, პირისწყალი, ჭარისკაცი, კარისკაცი,
ხევისბერი, ცხენისწყალი, მეჭვრისხევი, ცნობისმოყვარე, სტუმართ-
მოყვარე, პატივმოყვარე, მხარეთმცოდნე, ხელოვნებათმცოდნე...

ძნელია ძიება იმისა, თუ რატომ იქცევა ზოგი გამოთქმა კომპოზი-
ტად და სხვა კი არა. მაგალითად, რკინიგზა კომპოზიტია, რკინის ხიდი
არაა კომპოზიტი; მიუხედავად ამისა აუცილებელია და არც თუ ძნელი
კომპოზიტისა და გამონათქვამის გამიჯვნა.

კომპოზიტი გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ მისი შემადგენელი ნაწი-
ლები უკვე ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი
გადასმა ან მათ შორის სხვა სიტყვის ჩასმა არ შეიძლება. მაგალითად:
ჭარისკაცი — შეუძლებელია კაცი ჭარისა ან ჭარის მამაცი კაცი.

ხოლო, თუ ორი სიტყვის ისეთი შეერთება გვაქვს, რომელშიც ნა-
წილები შეიძლება გადაისვას ან მათ შორის სხვა სიტყვა ჩაისვას, იგი
შესიტყვებაა და არა კომპოზიტი¹⁴. მაგალითად: რკინის ხიდი — შეიძ-
ლება ვთქვათ ახალი ხიდი რკინისა ან რკინის ახალი ხიდი, მაგრამ არ
შეიძლება ახალი გზა რკინისა ან რკინის ახალი გზა. შესაძლებელია
მხოლოდ და მხოლოდ ახალი რკინიგზა; ასევე შესაძლებელია ხევის
ძველი სალოცავი ან ძველი სალოცავი ხევისა, მაგრამ შეუძლებელია
ხევის ახალი ბერი ან ახალი ბერი ხევისა; უნდა ახალი ხევისბერი.

IV. ზემომოყვანილი სინტაგმები მყარი შესიტყვეებებია. მათგან
განსხვავდება შესიტყვეებები, რომლებიც კუთვნილებას გამოხატავს.
კუთვნილებას გამოხატავენ მსაზღვრელი სახელები ქვემოთ ჩამო-
თვლილ სინტაგმებში:

14 არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 162.

ამხანაგის წიგნი (ჩანთა, რეეული, სახლი, ტანსაცმელი...);
 მასპინძლის სახლი (ეზო, კარ-მიდამო, ვენახი, ვაჟი...);
 საქართველოს კურორტები (ქალაქები, სოფლები, ბუნება, ცა, მი-
 წა, ღერბი, დროშა, ტერიტორია...);
 მტრის ციხე (ჯარები, თვითმფრინავი...);
 თავდაზნაურობის წარმომადგენელი;
 მეთევზეთა (ქისტების...) სოფელი; მუშათა და გლეხთა სახელმწი-
 ფო; თათრების მოჭიდავე; ქვემოელთა ფალავანი; მხატვრის ფანტაზია;
 მტკვრის (ალანის...) ნაპირები; კოლექტივის წევრი; ხალხის რწმენა;
 ავტორის ბუნება; მშენებელთა წინადადებები და ა. შ.

ასეთი გამონათქვამები მყარი არაა, ითიშება და ატრიბუტული
 მსაზღვრელი ძველ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ჩაისმის:

მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი; მეთევზეთა პატარა
 სოფელი; საქართველოს შესანიშნავი კურორტები; კოლექტი-
 ვის ახალი წევრი; კახეთის პატარა სოფელი; სპორტის დამ-
 სასურებელი ოსტატი, ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია...

საილუსტრაციო მასალა:

აფშინაურები წიკლაურებს შეუერთდნენ და ჭინჭარაულების გარე-
 მოცულ ციხისკენ გასწიეს (კ. გამს.).

სკოლის ახალი შენობა მთავარი ქუჩის შესახვევში იდგა (ო. იოს.).
 დაქვეითებული ლუხუმი ბაკურის დიდ ეზოს მიუახლოვდა (გ. აბაშ.).
 კოზმანაშვილმა გალახა თათრების განთქმული მოჭიდავე (აკაკი).
 მოიგონა ლა-მანშის პირას შეფენილი მეთევზეთა პატარა სოფელი
 („დროშა“).

რედაქცია უკვე რაიკომის სამოთახში იყო თავშეფარებული
 (ო. იოს.).

ზღაპრის ილუსტრაციებში ჩანს მხატვრის დიდი ფანტაზია („პიო-
 ნერი“).

მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს ფუქიმდებელი
 („თბილისი“).

[აბდუშაჰილს] ფეიქარ-ხანის ცხენოსანი ჯარის მეფეროსაბა
 ეშოვნა (აკაკი).

ჩხუბში ქვემოელთა განთქმული ფალავანი ცხრაფეხანთ გო-
 ლაც ჩამოვიდა (დ. შენგ.).

კედელზე ქეთუს დედისა და მამის ხისჩარჩოიანი სურათე-
 ბი ეკიდა (თ. მაღლაფ.).

სასაფლაოს უზარმაზარმა ცაცხეებმა ტოტები მოიქნიეს
 (დ. შენგ.).

... მტრების უთვალავი ჯარები მოდოდნენ, რომ გველთ საქარ-
 თველოს კარები (ლ. ახათ.).

ისრაელის მექანიზებული ჯარები ისევ მიიწევენ დამსკოს მი-
 მართულებით („კომუნისტი“).

ხადგუროს, სადარბაზო შესასვლელთან მიიყვანა (ო. იოს.)..
...და საქართველოს ლურჯი ცის თავიანთ რომ უმდგროდა დაუ-
ლაღვად (ლ. ასათ.).

უსათუოდ სამადლობელს დაღაღებდა კავკასიის მადლიანა მიწა
(ა. კალანდ.).

16 უძლიერესს შორის სსრ კავშირის სამი წარმომადგენელია
(„თბილისი“).

თვით პერსონაჟი თვლის თავის თავს აზნაურთაშის ტიპიურ წარმო-
მადგენლად (გ. კიკნ.).

საგურამოს და ზედაზნის უძველესი ციხე-სიმაგრე („პიო-
ნერი“).

როგორია კოლექტივის ახალი წევრების თვისებრივი შემადგენ-
ლობა („თბილისი“).

რესპუბლიკის ათასობით მცხოვრებნი გაეცნობა მოსკოვე-
ლებს საქართველოს ტელევიზიით („ახ. კომ.“).

და ანანავებს ვარძიის ქარი საქართველოს უძლეველ დროშებს
(ა. კალანდ.).

აშორდით სილიბისტროს გადასცა მეფის უგრძესი სიგელი (მ. ჯავახ.).
შტერს უტევდა კავკასიის მადალ მთებთან (ა. კალანდ.).

კუთვნილებასვე გულისხმობს შესიტყვება, რომელშიც რისამე ნა-
წილია გამოსახული:

ბავშვის სელი; გოგონას თითები; ბიჭის ფეხი; ქალის ტანი; კაცის
თვალები; ცხენის თავი (კბილები); სპილოს ხორთუმი; ვირის ყურები;
მელიას კუდი; არწივის ფრთები; გველის კანი; ხის (პალმის, მსხლის...)
ტოტი (ტანი, ფესვი, ფოთლი...); კაკლის (მუხის, დაფნის, ჩაის თამბა-
ქოს...) ფოთლი; მაგიდის უჯრა (ფეხი...); სვამის ფეხი; როიალის პე-
დალი; გაზეთის გვერდი; ოთახის კუთხე (ჭერი, ფანჯარა, კარი, კედ-
ლი...); მარნის (სახლის, ციხის, ზოსლის...) კედელი...; ავტობუსის ბორ-
ბალი (ფანჯარა, ჭერი, კარები...); ჩიხის (კაბის, პერანგის...) კალთა-
და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი ზო-
გი გამონათქვამი სიტყვანმარებაში ახალი ნიუანსითაა აღჭურვილი, მა-
გალითად: ძროხის ბეჭი, ძროხის სუკი, ქათმის ბარკალი და სხვ. წარ-
მომავლობაზე მიუთითებს, მტკიცე გამონათქვამადაა ქცეული; ამიტომ
იხმარება:

- შემწვარი გოჭის თავი;
- შემწვარი ცხვრის ბარკალი;
- მოხარშული ძროხის ბეჭი;
- შემწვარი ძროხის სუკები და სხვა.

სხვა შემთხვევაში კი შესიტყვება, რომელიც რისამე ნაწილს გად-
მოსცემს, არაა მტკიცე შესიტყვება. გვაქვს:

**ბავშვის ღამაში თვალები;
მაგიდის ერთი ფეხი.**

ილუსტრაციები მხატვრული ლიტერატურიდან:

აკმიაიმ... ზურბას დაკოქრილ ხელს თავისი ხელი მიაგება (მის. მრევლ.).

ლილე სიბნელეში ქმრის დაგონჯებულ სახეს ვეღარ ხედავდა (გ. აბაშ.).

[ავადმყოფს] სახის ყველა ნაკვეთი უთხოთოდა (ნ. დუმბ.).

აინთებიან ვარსკვლავების ჩუმი თვალები (ა. კალანდ.).

ქალის მკვრივი ტანი ნებივრად გადაწვა მდინარის ტალღებზე (მის. მრევლ.).

ნავის ძირზე პატარა გოგოს უმოძრაო სხეული დახვდა (გ. რჩეულ.).

ალაზნის ზედაპირი უნასის ბრჭყვიალა კანივით აპრიალდა (მის. მრევლ.).

[ცოლას] მაგიდის გამოდებულ უჯრაში, ჩაერგო თავი (ო. იოს.).

[დედა] სკამს ოთახის შორეული კუთხისაკენ მიარბენინებს (რ. ინან.).

გაზეთის ოთხივე გვერდის ანბეჭდი წინ ედო კორექტორს (გ. აბაშ.).

თავს მოვიკაზმავ სირაქლეშას ღამაში ფრთებით (ა. კალანდ.).

წაფერდილ მარგილებზე ცხენის გამხმარი თავები თეთრად ელავდნენ (დ. შენგ.).

კახამბალის ხმელ ტოტზე ჩხართვი იჯდა (ნ. დუმბ.).

[ხატია] ფრთხილად არჩევდა ჩაის ფოთლის თვითეულ ყლორტს (ნ. დუმბ.).

... მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 1.486 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი („საქ. ქალი“).

ელვათა კრთომაზე მოსჩანან მყინვარწვევების ზუჩიანი თხემები (კ. გამს.).

ძვირფასო მოხუცი! ეს შენ გამიღე ზღაპრებისა და მითების დახმული კარი (კ. გამს.).

კუთვნილების ნიუანსი ახლავს ისეთ შესიტყვებებსაც, რომლებშიც შემავალი მსაზღვრელი დროზე მითითებას შეიცავს: ზამთრის ღამე; ზაფხულის დღე; ივლისის მზე; მკათათვის მთვარე; აპრილის საღამო; თებერვლის ღამე; შემოდგომის სუსხი; შემოდგომის წვიმა; განთიადის შუქი; გარიჟრაჟის შუქი; განთიადის სიგრილე; ღამის სიწყნარე; გაზაფხულის დარი; სექტემბრის ქარი; ბავშვობის ფურცლები; სიყრმის (სკოლის, სტუდენტობის) მეგობარი...

საილუსტრაციო მასალა:

განდევილები... ზამთრის გრძელ ღამეებს ათენებდნენ მრავალთავეების, სვინაქსარების და ისტორიული ქრონიკების გადაწერაში (გ. ქიქ.).

სამძივარა... ძილფხიზლობდა კერასთან ზამთრის გრძელსა და ბნელ
ღამეებში (კ. გამს.).

მოსავალზე ფიქრმა და ზრუნვამ ამოაცხო ზაფხულის ულავი დღეები
(მის. მრევლ.).

შემოდგომის პირველი სუსხი ჩამოდგა (კ. გამს.).

კვლავ გაზაფხულის მშვენიერი დარი დღეა (მ. ჯავახ.).

მერე წვიმა წამოვიდა — შემოდგომის წვრილი, ცივი, გადაუღე-
ბელი წვიმა (რ. ინან.).

მკათათვის პირბადრმა მთვარემ დაუპატივებელი სტუმარივით
შემოიხედა ქალაში (მის. მრევლ.).

სანდალა... ივლისის თაკარა მზეს სპილენძის ქანდაკებისათვის და-
უმსგავსებია (რ. ინან.).

იმ თებერვლის გათოშილ ღამეს მენშევიკური გვარდია მცხეთი-
დან უკან იხედა (დ. შენგ.).

აპრილის ტკბილი საღამო იყო (დ. შენგ.).

გარიჟრაჟის მკრთალ შუქზეც კარგად ვარჩევდით რიყესავით თეთ-
რად მოფენილ სოკოებს (გ. აბაშ.).

განთიადის ბაცი შუქი ნისლივით შემობორააღდა ოთახში (მის.
მრევლ.).

მთვარანი ღამის დამამშვიდებელი სიწყნარე გადაჰფენოდა გა-
რემოს (მის. მრევლ.).

საგულდაგულოდ ვინახავთ... მათი ბედნიერი ბავშვობის ფერად ფურ-
ცლებს („ხაქ. ქალი“).

კუთვნილების ნიუანსი ახლავს ისეთ შესიტყვებებს, რომლებშიც
მსაზღვრელი უჩვენებს ადგილს, სადაც მდებარეობს საზღვრულა:
მცხეთის ტაძარი; შიომღვიმის მონასტერი; შუამთის ტყე; ნაჭყვიდის
ტაძარი; თბილისის (ნავთლუღის...) სადგური; თბილისის უნივერსიტე-
ტი (ფაბრიკა, სკოლა...); ქუთაისის ქარხანა; ხანმატის ხატი; კახეთის
(იმერეთის, გურიის, ხევსურეთის) სოფელი და სხვ. ასეთი შესი-
ტყვებები გათიშულია:

შუამთის უდაბურ ტყეში დადიოდა აბღუშაპილი (აკაკი).

დაკონმა ნაჭყვიდის მიტოვებულ ტაძარს თავი შეაფარა
(კ. გამს.).

ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში საქართველოს
ცხელი გული ასვენია (დ. ახათ.).

ასევე: თბილისის სამხატვრო აკადემია; თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი; ქუთაისის საავტომობილო ქარხანა; ქალაქის პირველი
სავაღმყოფო; ქალაქის მეორე აფთიაქი; თბილისის 51-ე ტექნიკური
სასწავლებელი.

ცოტა რთულდება საქმე, როდესაც დაწესებულების სახელწოდე-
ბაში შედის იმის აღნიშვნაც, თუ ვისი სახელობისაა ეს დაწესებულება.
გაზეთებში გამოქვეყნებულ განცხადებებში ხშირად გვხვდება:

თბილისის ე. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია („თბილისი“).

თბილისის აკად. მუხაძის სახელობის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება („თბილისი“).

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი...

შეუძლებელი ასეთი წყობაც არაა, მაგრამ უფრო ბუნებრივი ჩანს სხვაგვარად დალაგება:

ე. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია...

კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი...

ასე დალაგების შემთხვევაში მსაზღვრელთა შინაარსობრივი დავყვშირება ნაკლებადაა მოსალოდნელი და ორაზროვნებაც თავიდანაა აცილებული. მაშასადამე, უმჯობესია იხმარებოდეს:

შ. რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი.

აკად. მუხაძის სახელობის თბილისის ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება.

ასევე:

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

კიროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრი...

V. ითიშება ისეთი შესიტყვებაც, რომელშიც საზღვრულად გამოყენებულია სახელზმნა, მასდარი, მათ შორის ე. წ. პირვანდელი მასდარებიც:

ბავშვის განვითარება; მეცნიერების აღმავლობა; კამათის გამწვავება; შრომის გაღრმავება; მეთოდის გამოყენება; ძალების განვითარება; პარტიის მუშაობა; აბრეშუმის მოწევა; ცეცხლის აგზნება; ფეხის ადგმა; მასების აბოზოქრება... მგლის ყმუილი; ტურების კივილი; დთვის ბურდღუნე; ჩიტების ჭიკჭიკი; მერცხლის უღურტული; მტრედის ღუღუნე; ციკნის კიკინი; გოჭის ჭყვილი; კატის კნავილი; ძაღლის ყეფა; საქონლის (ირმის) ბღავილი; ცხენის ჭიხვინი; ქათმის კრიახი; ფოლადის უღერა; ხმლის წკრიალი (ჩახაჩუხი); ფარის უღრიალი; წყაროს ლიკლიკი; წყლის ჩუხჩუხი; ბეჭთრის ლაწანი; ბავშვის ტირილი; ქალის

კვილი (სიმღერა); კაცის ყვირილი; ბავშვის ღიმილი (სიცილი...); გონას კისკისი; თვალის ხამხამი და სხვ.

საილუსტრაციო მასალა:

და ჩემი გულის გამირული კენესა მარტოდენ ლექსმა გაიზიარა.
(ლ. ასათ.).

უკანასკნელ წლებში მეცნიერების მკვებთრმა აღმავლობამ განაპირობა მათემატიკის როლის ზრდა („საქ. ქალი“).

საბჭოთა კავშირში შექმნილია ბავშვთა ყოველმხრივი განვითარების... ყველა პირობა („საქ. ქალი“).

ეს ადგილები წარმოადგენენ ქიმიურ ნივთიერებათა კომპლექსს, რაც განაპირობებს მეცნიერული და პრაქტიკული შრომის შემდგომ გაღრმავებას („თბილისი“).

საწარმოო ძალების გიგანტურმა განვითარებამ ფართო შესაძლებლობანი შექმნა... ცხოვრების დონის მკვებთრი აღმავლობისათვის („საქ. ქალი“).

ტყეში მოხეტიალე ქონდრისკაცი ჩიტების ზღაპრულ ჭიკჭიკს მოეჯადოებინა (ე. ყიფ.).

ციკნების მხიარული კიკინი... გაისმის ხევში (კ. გამს.).

ქოფაკის ავისმომასწავებელი ყმული არღვევდა დამეულ სიჩუმეს (ი. რურ.).

დედის გაუთაებებელ ტირილზე ბავშვიც ტიროდა (ო. იოს.).

ძაღლის ყოველ დაყვებებაზე წამოხტებოდა (ნ. ღუმბ.).

[ჯახა] ალბათ დედის ღონიერმა სუნთქვამ გამოაღვიძა (ე. ყიფ.).

ისმოდა ზარბაზნების შორეული გუგუნო (დ. შენგ.).

ე. ი. იმის მიხედვით, თუ რა შინაარსისაა მართლმსაზღვრელიანი შესიტყვება, შეთანხმებული მსაზღვრელი ხან შესიტყვების შუაში ჩაისმის, ხან კი მის წინ დაისმის.

ერთ შემთხვევაში იზნარება დიდი ხის სახლი, მეორე შემთხვევაში კი ხის დიდი ტოტი, იმიტომ რომ ხის სახლი ისეთი შესიტყვებაა, რომელშიც მასალაზეა მითითება და მეორე მსაზღვრელი წინ ისმის; ხის ტოტი კი კუთვნილებას გადმოსცემს, ითიშება და მეორე მსაზღვრელი შუაში ჩაისმის. ასევე: პაპიროსის ყუთი დანიშნულებას აღნიშნავს, ამიტომ ვამბობთ: ლამაზი პაპიროსის ყუთი; ხის ყუთი მასალაზე მიუთითებს, ამიტომ ვიტყვით: ლამაზი ხის ყუთი; მაგრამ მეზობლის ყუთი კუთვნილებაა, ამიტომ აღარ ვიტყვით ლამაზი მეზობლის ყუთი, არამედ: მეზობლის ლამაზი ყუთი. ასევე: ამერიკული თვითმფრინავი წარმომავლობას გულისხმობს, მიუთითებს, თუ სადაურია თვითმფრინავი, ამიტომ ვამბობთ: ორი ამერიკული თვითმფრინავი, ამერიკის თვითმფრინავი კი კუთვნილებაზე მიუთითებს, უჩვენებს. თუ ვისია თვითმფრინავი, ამიტომ ვამბობთ: ამერიკის ორი თვითმფრინავი.

მაშასადამე, თუ მართლმსაზღვრელიანი შესიტყვება გამოხატავს

მასალას, ნივთიერებას, დანიშნულებას ან წარმომავლობას, — მყარია, არ ითიშება და მეორე მსაზღვრელს წინ დაისვამს.

ხოლო თუ ასეთი შესიტყვება კუთვნილების შინაარსს შეიცავს, იგი ითიშება და მეორე ამხსნელს შუაში ჩაირთავს.

* * *

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სალიტერატურო ენაში ასეთი, თითქოს გარკვეული კანონზომიერება არსებობს, მაინც მისი დარღვევის არაერთი შემთხვევა გვხვდება.

ერთი მხრივ, თიშავენ მყარ გამონათქვამებს და შიგ სვამენ ატრიბუტულ მსაზღვრელს (ძროხის ცივი ქონი, ღვინის დიდი კასრი, სუფრის კარგი ღვინო, წყაროს ცივი წყალი, სპილენძის გატეხილი თუნგი...), ხოლო, მეორე მხრივ, არ თიშავენ არამყარ გამონათქვამებს და ატრიბუტულ მსაზღვრელს, ნაცვლად მეორე ადგილისა, წინ სვამენ (დროული განყოფილების გამგე, შავჩარჩოიანი დედის სურათი, მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია).

მატერული ლიტერატურიდან ამოკრებილი საილუსტრაციო მასალა:

ა) ატრიბუტული მსაზღვრელი უმართებულოდაა დასმული მეორე ადგილზე:

სპილენძის ყუროიან ქვაბს ხელი დავტაცე (ს. მთვარ.).

ძროხის ცივი ქონით გაბოხილ თითებს ალოკავდნენ (თ. მაღლაფ.).

პანტიანისკენ მიმავალი ორღობის თავში სამმილიანი მთის ცივი წყარო უხვად მოსჩქეფდა ავაზანში (მთხ. მრეკლ.).

ოჭროს ვეება ბეჭედი ჭიკაყელასავით მოძრავ თითზედა (გ. ბარნ.).

სპილენძის ვეება და მცირე ქვაბებსა და ტაფებში უხვად იხარშება და იხარკება ბოზბაში და ჩიხირთმა (მ. ჭავჭავ.).

[მოხუცმა] სპილენძის მაღალ თუნგს ჯონი შემოკრა (ი. რურ.).

[ქალმა] ერბოს ქილა და სპილენძის დიდი ტაფა შემოიბანა (ი. რურ.).

აიღე სპილენძის სქელი მავთული („პროფერა“).

ჰაერში ზრიალი გაისმა, თითქო სპილენძის თხელი ფურცლები იხვეო (თ. რაზიკ.).

მძიმედ იღება რკინის დიდი ქიშკარი (გ. ხუხ.).

მანქანის უკანა ბორტზე რკინის პატარა კიბე იყო ჩამოკიდებული (რ. ინან.).

ხის გრძელ სკამზე... ბოცმანი... წამოწოლაიყო (ა. ლომ.).

ისევ იდგა წითელი ხის დიდი საწოლი (ო. ჩხ.).

ხეების ქვეშ... რიყის ქვის პატარა სახლი თითქოს ტირის (რ. ინან.).

ოპერის მოპირდაპირე მხარეს, წიგნების დიდი მაღაზიის წინ... ავტობუსი გაჩერდა (რ. ჭავჭავ.).

[ავარაში] ახლა... შაქრის დიდი ქარხანაა (ო. ჩხ.).

მერე კედლის ჯაჭვიან საათზე ცხრა გახდება (რ. ინან.).

ერთქლი ასდიოდა... შუშის რძისფერ ჭაღებს (ე. ყიფ.).

ღვინით მივსებდნენ ბროლის სქელ ჭიქას (რ. ინან.).